

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

მაუწყებლების ტოქშოუების წინასაარჩევნო
მედიამონიტორინგი

ანგარიში

(1 ივლისი- 30 აგვისტო)



თბილისი, 2016

პროექტის შესახებ

„საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“ ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის, „2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“, ფარგლებში სატელევიზიო არხების მონიტორინგს ახორციელებს. მონიტორები აკვირდებიან 11 სატელევიზიო არხის საუკეთესო საეთერო დროს (პრაიმ ტაიმში) გასულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტოქშოუებს. მონიტორინგი ხორციელდებოდა შემდეგ სატელევიზიო არხებზე: საზოგადოებრივი მაუწყებლის I არხი, რუსთავი 2, იმედი, მაესტრო, GDS, ტაბულა, კავკასია, ტვ პირველი, ობიექტივი, აჭარის ტელევიზია, ტელეარხი 25

ანგარიში მოიცავს 1 ივლისი - 30 აგვისტოს პერიოდს.

მეთოდოლოგია მონიტორინგის სუბიექტებად შერჩეულნი იყვნენ:

- პრეზიდენტი
- მთავრობა
- პოლიტიკური პარტიები

მონიტორები აკვირდებოდნენ როგორ ჩანდნენ კვლევის სუბიექტები გადაცემებში. თითოეულ ტოქშოუს აფასებდნენ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

არის თუ არა გადაცემის თემა რელევანტურად შერჩეული, რამდენად შესაბამისია მოწვეულ სტუმართა კვალიფიკაცია სადისკუსიო თემასთან, სტუმრების შერჩევისას ხომ არ ჩანს მიკერძოება, როგორ მიმდინარეობს მსჯელობა, რამდენად კარგად მართავს დისკუსიას წამყვანი, როგორია მისი კითხვები, არის თუ არა მომზადებული, აძლევს თუ არა ცრუ ინფორმაციის გავრცელების საშუალებას სტუმრებს, გადაცემა ხომ არ არის გამოყენებული სიძულვილის ენის გასავრცელებლად.

საერთო ჯამში იღებს თუ არა მაყურებელი რაიმე დამატებით ინფორმაციას, რაც მას გაცნობიერებული არჩევანის გაკეთებაში დაეხმარება.

ტენდენციები

- ტოქშოუებში სადისკუსიოდ ხშირად მიმდინარე ამბებს არჩევენ, რაც ახალი ამბების ფორმატში უკვე ფართოდ განხილულია. ასეთ დროს გადაცემა უმეტესად ვერ ახერხებს მაყურებლისთვის ამ თემაზე დამატებითი ინფორმაციის შეთავაზებას.
- მაუწყებელთა ნაწილი საკითხის განსახილველად პოლიტიკოსთა დებატების ნაცვლად ხშირად პირისპირ ინტერვიუს სთავაზობს აუდიტორიას.
- სადისკუსიო თემა ხშირ შემთხვევაში ძალიან ბევრია და ერთ გადაცემაში, ერთ საარჩევნო სუბიექტთან მრავალ საკითხზე მიდის მსჯელობა, შესაბამისად, დისკუსია ზედაპირულია.
- წამყვანები უმეტესად შემოიფარგლებიან ზოგადი კითხვებით (თქვენ როგორ შეაფასებთ? რას ფიქრობთ ამ საკითხზე? როგორია საარჩევნო გარემო?), რესპონდენტებს სხვათა განცხადებებს აფასებინებენ, შესაბამისად მათი პასუხებიც ზოგადია. არ სვამენ დასაზუსტებელ კითხვებს, სტუმრებს არ სთხოვენ კონკრეტულ პასუხებს. საბოლოო ჯამში აუდიტორია თითქმის ვერ იღებს ღირებულ ინფორმაციას.
- წამყვანები ხშირ შემთხვევაში მოუშადადებლები არიან, ამის გამო სტუმრებს ვერ უწევენ ოპონირებას, როდესაც ისინი მცდარ ინფორმაციას ავრცელებენ, რაც განსაკუთრებით ჩანს პრორუსული ორიენტაციის მქონე რესპონდენტებთან საუბრისას. ასეთი ტიპის სტუმრები ნატოსა და ზოგადად დასავლეთის შესახებ მითებს, არასწორ ინფორმაციას ისე ავრცელებენ, წამყვანი ვერ ახერხებს აუდიტორიისთვის იმის ჩვენებას, რომ მათი განცხადებები უსაფუძვლოა.
- არაერთხელ დაისვა ისეთი ტიპის კითხვები როგორიცაა: როგორ შეაფასებთ საკუთარ მუშაობას? ხალხი რა განწყობით გხვდებათ? ამ დროს რესპონდენტს ეძლევა საშუალება დადებითად ისაუბროს საკუთარ საქმიანობაზე სასურველი მიმართულებით.
- რამდენიმე შემთხვევაში წამყვანები სტუმრებს სთხოვდნენ სხვადასხვა სტატისტიკური ინფორმაციის, მონაცემების წარმოდგენას ნაცვლად იმისა, რომ ეთერში გასვლამდე თავად ჰქონოდათ მოძიებული და შედეგებზე პასუხის მიღება მოეთხოვათ.
- ხშირია შემთხვევა, როდესაც გადაცემის დიდი ნაწილი ეთმობა ამა თუ იმ პოლიტიკოსის განცხადების შეფასებას, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს საგნობრივი დისკუსიის ნაცვლად ძირითადად სხვათა გამონათქვამებსა და საარჩევნო გარემოს აფასებინებენ.
- საარჩევნო პროგრამებსა და ხედვებზე საუბარი რამდენიმე გადაცემაში აგვისტოს ბოლოდან გააქტიურდა.
- დაპირისპირებულ მხარეებთან გადაცემა ურთიერთბრალდებების ფონზე მიმდინარეობს და ზოგიერთ წამყვანს უჭირდა დისკუსიის წარმართვა.
- ხშირად სადისკუსიო თემისთვის შერჩეული სტუმრები არარელევანტურია და არ აქვთ შესაბამისი ცოდნა განსახილველ საკითხზე. ეს გადაცემის შემოქმედებითი გუნდის გადაწყვეტილების გარდა შესაძლებელია უფრო მეტად გამოწვეული იყოს იმით, რომ

თავად საარჩევნო სუბიექტებს არ ჰყავთ შესაბამისი სპიკერები და მაუწყებლებს უჭირთ რესპონდენტების სტუდიაში მოყვანა.

- რჩება შთაბეჭდილება, რომ ტელეკომპანია „ობიექტივის“ ტოქშოუ „ღამის სტუდია“ ერთი პოლიტიკური ძალის, „პატრიოტთა ალიანსის“ პლატფორმაა, სადაც მათ შესაძლებლობა აქვთ ისაუბრონ ყველაფერზე.
- ობიექტივის ტოქშოუ „ღამის სტუდია“ ტელეკომპანია „კავკასიის“ გადაცემა „სპექტრთან“ ერთად ის გამონაკლისი შემთხვევაა, სადაც რესპონდენტებთან ერთად თავად წამყვანებიც იყენებენ არაკორექტულ გამონათქვამებს, შეუსაბამო ტერმინოლოგიას, სიძულვილის ენას. სხვა რამდენიმე გადაცემაში (მაგ. „რვიანი“, „ბარიერი“) სიძულვილის ენა სტუმრებმა გამოიყენეს, რასაც არ მოჰყოლია სათანადო რეაგირება წამყვანის მხრიდან.
- შეიძლება ითქვას, რომ სამონიტორინგო პერიოდში საზოგადოებას საარჩევნო სუბიექტების შესახებ ტოქშოუებმა ვერ მიაწოდეს ის ინფორმაცია, რაც მათ გაცნობიერებული არჩევანის გაკეთებაში დაეხმარება.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი

პირველი არხის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ შემდეგ გადაცემებს: „მთავარი“ (ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, პარასკევი 20:50) ინტერვიუ (ხუთშაბათს 20:50) და რეალური სივრცე (პარასკევი 22:00)

სამივე გადაცემა უმთავრესად ერთ სტუმართან პირისპირ საუბარს მოიცავს, რაც კონკრეტულ საკითხზე დებატებს, კამათს და ფართო განხილვას არ ითვალისწინებს. მაუწყებლის მთავარ ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს სწორედ ის, რომ სამაუწყებლო ბადეში განთავსებული არ აქვს გადაცემა, სადაც სხვადასხვა მოსაზრების მქონე სტუმარი ერთდროულად იქნება მოწვეული და მათ შორის დისკუსია გაიმართება.

მთავარი

გადაცემა აქტუალურ საკითხებს მიმოიხილავდა, სტუმრები რელევანტურად იყო შერჩეული, თუმცა გადაცემაში ძირითადად ორი რესპონდენტი ჰყავდათ მოწვეული, რომლებიც სხვადასხვა ბლოკში ჟურნალისტთან პირისპირ საუბრობდნენ. შესაბამისად, მათ შორის დებატები არ მიმდინარეობდა და ინტერვიუს ფორმა ჰქონდა

სადისკუსიო თემა ხშირ შემთხვევაში ზოგადი იყო. პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან საარჩევნო საკითხებზე ისე მიდიოდა საუბარი, რომ არ იყო გამოყოფილი ერთი რომელიმე კონკრეტული საკითხი (მაგალითად, ხედვა საგარეო კურსზე, ეკონომიკაზე და ა.შ.), რომლის ირგვლივ დაისმებოდა მნიშვნელოვანი შეკითხვები, ჟურნალისტი წარმოაჩენდა სხვადასხვა მონაცემ, ფაქტს, ექნებოდა არგუმენტირებული

დისკუსია მასთან. პირიქით, ჟურნალისტი ცდილობდა ყველა საკითხზე გამოეთქვა სტუმარს აზრი, რაც საბოლოო ჯამში იძლეოდა ძალიან ზედპირულ წარმოდგენას და არაფერს იმაზე მეტს, რასაც ამ ადამიანებისგან მაყურებელი ისმენს საინფორმაციო გამოშვებებში.

მაგალითად, 3 აგვისტოს პირველი ბლოკის სტუმარია არჩილ თალაკვაძე, “ქართული ოცნების” მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ოზურგეთში, მეორე ბლოკში კი საუბრობს ლევან სამუშია, “თავისუფალი დემოკრატების” მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი დიდუბეში, მიუხედავად იმისა, რომ ორივე სტუმარი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად არის წარდგენილი, წამყვანი მათ არაფერს ეკითხება პარტიების საარჩევნო პროგრამის თაობაზე, არ უსვამს კრიტიკულ კითხვებს შეუსრულებელი და შესრულებადი დაპირებების შესახებ. ნაცვლად ამისა, არჩევნებთან დაკავშირებით არჩილ თალაკვაძეს დაუსვა კითხვა, თუ რატომ არის ეს არჩევნები ასეთი მნიშვნელოვანი და რატომ უნდა ჩატარდეს ის მშვიდ და წყნარ სიტუაციაში? საუბრის ძირითადი დრო კი დაეთმო საკონსტიტუციო სასამართლოს ირგვლივ განვითარებული მოვლენებს.

ზოგჯერ წამყვანი რესპონდენტს მცდარი ინფორმაციის გავრცელების საშუალებას აძლევდა. მაგალითად 4 ივლისს სტუმრად იყო „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი დავით თარხან მოურავი, რომელმაც განაცხადა: «ალბათ, ახლა ყველამ გაიგო, რომ 20 წლით გადაიწია ნატოს თემამ», სინამდვილეში ამ ინფორმაციის სიზუსტე არ დასტურდება არანაირი ოფიციალური წყაროთი და ამაზე ჟურნალისტს არ მოუთხოვია რესპონდენტისთვის განმარტებები.

11 ივლისს კი სტუმარ გიორგი ახვლედიანს ჟურნალისტმა საშუალება მისცა ეცრუა, როდესაც თქვა, რომ ნატოში გაწევრიანებას საქართველო ვერ შეძლებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის გადაუჭრელად და ყირიმისა და დონბასის მოვლენები იყო შედეგი იმისა, რომ უკრაინის ახალმა ხელისუფლებამ წამოიწყო საუბარი ნატოში ქვეყნის გაწევრიანებაზე.

იყო შემთხვევები, როდესაც წამყვანმა არარელევანტური კითხვები დაუსვა სტუმარს. 24 აგვისტოს პარტია „სახელმწიფო ხალხისთვის“ ლიდერს, პაატა ბურჭულაძეს, ჯერ ზოგადი კითხვა დაუსვა - „ხომ არ ნანობთ, რომ ქართულ პოლიტიკაში შემოხვედით, ანუ რამდენად მოგწონთ ის, რაც ხდება ქართულ პოლიტიკაში?“ მოგვიანებით კი დაინტერესდა - „გული არ გწყდებათ, როცა უყურებთ, რომ სხვა მღერის და თქვენ დაკავებული ხართ იმით, რომ სიაში ვინ რომელი იქნება, რომელი პარტიის წევრი სად ჩაჯდება და ასე შემდეგ?“

არასწორ ინფორმაციას შეიცავდა ასევე პაატა ბურჭულაძის მიმართ დასმული კითხვა „გირჩთან“ გაერთიანების კონტექსტში - “ხედვები ემთხვევა ერთმანეთს, რომ უნდა გაუქმდეს ყველა გადასახადი?“ „გირჩს“ არ განუცხადებია ისეთი არარეალური რამ, როგორიც ყველა გადასახადის გაუქმებაა.

29 აგვისტოდან „მთავარი განახლებული ფორმატით გავიდა ეთერში როგორც წამყვანმა განაცხადა, ისინი არჩევენებამდე პერიოდში ეთერს დაუთმობენ 10 კვალიფიციურ სუბიექტს, მათი რიგითობა კი კენჭისყრით გადაუწყვეტეს.

პირველი გადაცემა მთლიანად დაეთმო „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის“ საარჩევნო პროგრამის პრეზენტაციას. სტუდიაში მოწვეული იყვნენ პარტიის წევრები, მხარდამჭერები

ინტერვიუ

კვლევის პერიოდში მონიტორინგის სუბიექტები გადაცემაში სულ ორჯერ მონაწილეობდნენ. 30 აგვისტოდან „ინტერვიუ“ განახლებული ფორმატით გავიდა ეთერში. წამყვანის თქმით, ისინი პოლიტიკური პარტიის წევრებს მოიწვევენ წინასაარჩევნო პერიოდში.

გადაცემის ფორმატი პირისპირ ინტერვიუს ითვალისწინებს. მონიტორინგის პერიოდში გასული გადაცემის სასაუბრო თემა ყოველთვის საინტერესო და აქტუალური იყო კარგად შერჩეული სტუმრით. გადაცემებიდან ჩანდა, რომ წამყვანს თემის შესახებ სიღრმისეული მოკვლევა ჰქონდა გაკეთებული და კარგად იყო ინფორმირებული. იყენებდა სხვადასხვა წყაროს, ციტატას. რესპონდენტებს უსვამდა კარგად ფორმულირებულ, საინტერესო და აქტუალურ კითხვებს, რომელიც საჯარო ინტერესიდან გამომდინარეობდა. მართავდა დიალოგს, ოპონირებას უწევდა სტუმარს და ცდილობდა მისგან საზოგადოებისთვის საინტერესო კითხვებზე ამომწურავი ინფორმაციის მიღებას. წამყვანი ძალიან კორექტული იყო როგორც სტუმრის, ისე იმ ადამიანების მიმართ, რომელთა შესახებაც საუბრობდა და ძალიან კრიტიკულ კითხვას სვამდა.

წამყვანი არ აძლევდა სტუმრებს პოპულისტური განცხადების გაკეთების საშუალებას. მაგალითად, 30 აგვისტოს „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერს 4-ჯერ დაუსვა ერთი და იგივე კითხვა თუმცა რესპონდენტმა არ უპასუხა, რითაც მისცა საშუალება, რომ ინტერვიუ რესპონდენტს სასურველი კუთხით წაეყვანა.

„ინტერვიუს“ მთავარი ნაკლი იყო გადაცემის ვიზუალური, რაც აგვისტოს ბოლოს გაუმჯობესდა.

რეალური სივრცე

სამონიტორინგო პერიოდში რეალური სივრცის მხოლოდ ერთი გამოშვება გავიდა ეთერში (26.08). გადაცემა განსხვავებული ფორმატით წარსდგა მაყურებლის წინაშე - პოლიტიკური პარტიის წევრებს კითხვებს თავად მოქალაქეები უსვამენ, რაზეც პასუხი განსაზღვრულ დროში უნდა შეძლონ. გადაცემაში წარმოჩენილი იყო პარტიათა მრავალფეროვნება. წამყვანმა რამდენჯერმე ახსენა, რომ ეთერში პარტია “მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს”

წარმომადგენელიც უნდა ყოფილიყო, თუმცა ის არ მივიდა. მისივე თქმით, კენჭისყრით გადაწყდა, რომელი პარტია რომელ რეგიონზე ილაპარაკებს.

გადაცემის ბლოკები იწყება კონკრეტული რეგიონის მიმოხილვით, რაც საშუალებას აძლევს გაიგოს თუ რა პრობლემებია მაგალითად აჭარაში. შემდეგ კი ამავე რეგიონის მოქალაქეები მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე სვამენ კითხვებს. წამყვანი არის მობილიზებული და თემიდან გადახვევისას მოუწოდებს ყველას, რომ კონკრეტულ კითხვებზე იყოს კონკრეტული პასუხები, რადგან მოსახლეობას კონკრეტული პასუხი სჭირდება. მიუხედავად ამისა, პარტიების წარმომადგენლები მაინც ზოგადად პასუხობენ. გადაცემამ კარგად წარმოაჩინა, რომ რიგ საკითხებზე პოლიტიკურ პარტიებს ხედვა არ აქვთ ჩამოყალიბებული.

რუსთავი 2

ტელეკომპანია რუსთავი 2-ზე მონიტორინგდებოდა გადაცემა „არჩევანი“, რომელიც ყოველ სამშაბათს გადიოდა ეთერში. 29 აგვისტოდან გადაცემამ ფორმატი შეიცვალა, დაეთმო საარჩევნო სუბიექტებს. ცვლილება სახელშიც აისახა და გახდა „არჩევანი 2016“. გადაცემა 29 აგვისტოდან კვირაში ორჯერ გადის ეთერში.

„რუსთავი 2-ზე“ ასევე დაკვირვების ქვეშ იყო შაბათის კურიერის ის ნაწილი, სადაც წამყვანი სტუმრებთან ერთად განიხილავს თემას.

არჩევანი

ტოქშოუ „არჩევანში“ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის ლიდერები სტუმრობდნენ და მათ შორის იმართებოდა დისკუსია სხვადასხვა საკითხზე. გადაცემის თემა მკვეთრად გამოკვეთილი იყო და შესაბამისად, დისკუსიაც სტრუქტურირებული. წამყვანი კარგად ახერხებდა მოდერაციას, თანაბარ დროს უთმობდა სტუმრებს, აძლევდა საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის საშუალებას.

გადაცემა რამდენიმე ბლოკისგან შედგება და არის შემთხვევები, როდესაც მისი ქრონომეტრაჟი ძალიან ხანგრძლივია.

ახალი ფორმატით ეთერში გასვლამდე, ივლისის თვეში მიწვეული სტუმრები წარმოდგენილნი იყვნენ შემდეგი პარტიებიდან - ენმ, ქართული ოცნება, თავისუფალი დემოკრატები, სახელმწიფო ხალხისთვის. გადაცემას სტუმრობდა ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილიც. ერთ გადაცემაში კი ერთსაათიანი ინტერვიუ დაეთმო რესპუბლიკური პარტიის ლიდერთან, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილთან. ზემოთ აღნიშნული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს ეძლეოდათ საშუალება როგორც საკუთარ წინასაარჩევნო პროგრამაზე საუბრისა, ასევე სხვა სადისკუსიო თემებზე მოსაზრებების გამოთქმისა. როდესაც მოწვეული სტუმარი უარს ამბობს გადაცემაში

მისვლაზე, წამყვანი აწვდის ინფორმაციას აუდიტორიას და განმარტავს რატომ არ არის წარმოჩენილი ესა თუ ის მხარე.

გადაცემის თემა ყოველთვის აქტუალური იყო, წამყვანი სვამდა რელევანტურ კითხვებს, უწევდა ოპონირებას და სტუმრებს აძლევდა საკუთარი აზრი გამოთქმის საშუალებას. თუმცა, იყო შემთხვევები, როდესაც შეინიშნებოდა მიკერძოება.

მაგალითად, 5 ივლისის გადაცემა ეძღვნებოდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილ მდგომარეობას - აჭარის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე, ლევან ვარშალომიძე დაბრუნდა უკრაინიდან, ხოლო მოქმედი თავმჯდომარე, არჩილ ხაბაძე აპირებდა გადადგომას.

ჩართვისას ვარშალომიძის უკან ფონად შერჩეული იყო ფოტოგამოფენა, რომელზეც როგორც ჟურნალისტის შეკითხვის საპასუხოდ ვარშალომიძემ განმარტა, წარმოჩენილი იყო მის მიერ დაწყებული და ამჟამინდელი ხელისუფლების მიერ შეჩერებული პროექტები, რაზეც ჟურნალისტის შეფასება იყო ასეთი: „თქვენს უკან შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენ ვხედავთ, როგორი შეიძლება ყოფილიყო ბათუმი ამ ოთხი წლის შემდეგ“. ჟურნალისტმა ვარშალომიძის მიმართ ასეთი შეფასება გააკეთა – „თქვენი ფასი იმაშია, რომ თქვენ ხართ ძველი... იცინა ბათუმელებმა და აჭარელებმა რა გაგიკეთებიათ და რისი გაკეთება შეგიძლიათ“.

დაახლოებით 20 წუთის მანძილზე ისაუბრა გადაცემის შემდეგმა სტუმარმა – „შესყიდვების მონიტორინგის და სწავლების ცენტრის“ დირექტორმა გიორგი ბაჯელიძემ სხვადასხვა უწყებების მიერ განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებზე და ამ მხრივ შესაძლო დარღვევებზე. მან კორუფციულ გარიგებებში დაადანაშაულა კომპანია „დაგთან“ მიმართებაში ყოფილი პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი და ზვიად ჯანყარაშვილი, თუმცა შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა ჟურნალისტს მისთვის არ მოუთხოვია.

ამავე სტუმრის განცხადებაზე, რომელიც ეხებოდა რკინიგზის მიერ ორსართულიანი მატარებლის შესყიდვის თემაზე, წამყვანის, გიორგი გაბუნias რეპლიკა იყო ასეთი: «ორად თუ გაჭრიან და ორ მატარებლად აქცევენ მაშინ კი“ იყო დაუდასტურებელი ინფორმაციის ფაქტად გასაღების მცდელობა, რომ რკინიგზამ შეიძინა ორსართულიანი მატარებელი, რომელიც ვერ გაეტეოდა გვირაბში.

კიდევ ერთმა სტუმარმა, ალექსანდრე ელისაშვილმა მექრთამეობაში დასდო ბრალი თბილისის მთავარ არქიტექტორს, რომელიც მისი თქმით, არის „ივანიშვილის კარზე დაწინაურებული ერთ-ერთი ექსპერტის [ვასილ მაღლაფერიძის] სიძე, დის ქმარი“. ელისაშვილმა ასევე ისაუბრა თბილისის მერის დავით ნარმანიას ძმის, ირაკლი ნარმანიას შესაძლო კორუფციულ კავშირებზე. ამ საკითხზე პასუხი აქვს გაცემული თბილისის მერიას, თუმცა ეს ინფორმაცია

გადაცემაში არ გაჟღერებულა.¹ ამის ნაცვლად ჟურნალისტმა ასე შეაფასა ელისაშვილის გამოსვლა: „სურათით, რომელსაც თქვენ ხატავთ, ჰგავს იმას, რომ მერია, ფაქტობრივად, ქცეულია ფულის საჭრელ მანქანად“.

საბოლოო ჯამში, გადაცემის მეორე ბლოკის იყო საკმაოდ ტენდენციური, რომელიც პირდაპირ ბრალს სდებდა კონკრეტულ პირებს „ხალხის ფულის მოპარვაში“, მაშინ როცა გადაცემაში რესპონდენტები გამოთქვამდნენ მხოლოდ ვარაუდებს და არ ყოფილა წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტური მტკიცებულებები. ამასთან, იმის მიუხედავად, რომ მმართველი გუნდის წარმომადგენლებმა უარი თქვეს გადაცემაში მონაწილეობაზე, შეიძლებოდა იმ საკითხებზე მაინც „ბრალდებული ჩინოვნიკების“ პოზიციების წარმოჩენა, რაზეც იყო უკვე მათი მხრიდან პასუხები გაცემული, ვინაიდან გადაცემაში საუბარი იყო უკვე კარგად ნაცნობ ამბებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა 2015–2016 წლებში და მათზე არაერთი სატელევიზიო სიუჟეტი აქვს მომზადებული თავად „რუსთავი 2–საც“.

გაცილებით უკეთესადაა მომზადებული ჟურნალისტი გიორგი გაბუნია, როდესაც ის წარმართავს პირისპირ ხანგრძლივ ინტერვიუს რესპონდენტთან, ამის მაგალითია მისი ინტერვიუ პრეზიდენტთან და პარლამენტის თავმჯდომარესთან, რომლებთანაც დაისვა ბევრი ძალიან მნიშვნელოვანი შეკითხვა.

იყო შემთხვევები, როდესაც ხელისუფლებასთან დაპირისპირებულ მხარედ – რესპონდენტად გადაცემაში მიწვეული იყო „რუსთავი 2–ის“ გენერალური დირექტორი, ნიკა გვარამია ან თავად ჟურნალისტი მუდმივად აპელირებს „რუსთავი 2–ის“ სასამართლო საქმეზე, რათა ხელიდან არ გაუშვას ხელისუფლების გაკრიტიკების შანსი.

მაგალითად, 26 ივლისს გვარამიამ არა მხოლოდ უშუალოდ მასთან დაკავშირებულ საქმეზე ისაუბრა, არამედ, მან გააკეთა პოლიტიკური შეფასებები, მისი მხრიდან დადანაშაულებული იქნა პრემიერი პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებთან დაკავშირებით, მისი თქმით, თუკი უშუალოდ არ მონაწილეობს, მაშინ გამოდის, რომ «ჩვარია პრემიერ მინისტრი» და ა.შ.

23 აგვისტოს „ქართული ოცნების“ კანდიდატზე მან განაცხადა: „პოლიტიკოს მამუკა მდინარაძეს, არა მგონია, რომ საერთოდ ვინმე იცნობდეს, ესეთი რამე ბუნებაში არ არსებობს და ჩვენ ვნახეთ სრულიად არასერიოზული და არასოლიდური ადამიანის გამოსვლა, რომელმაც ისეთი სისულელეები ილაპარაკა, რომლის რაციონალური განმარტება ძალიან რთული იქნება.“

¹ <http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/376311-davith-narmania-aleko-elisashvilis-ganckhadebas-sisuleles-utsodebs.html?ar=A>

ტელეკომპანიის დირექტორის ამგვარად გამოხატული პოზიციები აუდიტორიის მხრიდან შესაძლებელია აღქმული იყოს არხის პოზიციად, რაც „რუსთავი 2-ის“ მიმართ გააჩენს ეჭვებს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით.

არჩევანი 2016

ფორმატის მიხედვით, ნახევარი საათი მიმდინარეობდა პარტიის პროგრამის პრეზენტაცია, რომელსაც პარტიის წევრები აკეთებენ, ხოლო შემდეგი ერთი საათი ეთმობოდა მწვავე კითხვებს რომლებსაც „რუსთავი 2-ის“ ჟურნალისტები უსვამდნენ პოლიტიკოსებს. აღსანიშნავია, რომ წამყვანს არ აღუნიშნავს როგორ შეირჩა გადაცემაში მონაწილე პარტიათა რიგითობა.

წინასაარჩევნოდ ამ ფორმატის გადაცემა ხელს უწყობს მაყურებლის ინფორმირებას, რათა მათ გააკეთონ გაცნობიერებული, ინფორმირებული არჩევანი. ასევე ეხმარება როგორც საარჩევნო სუბიექტს, ისე ჟურნალისტებსაც უკეთ წარმოაჩინონ პარტიის მიზნები და ნაკლოვანებები.

პროგრამის წარდგენისას წამყვანს დამატებითი კითხვები არ დაუსვამს. მეორე ნაწილში კი ჟურნალისტთა კითხვები მომზადებული იყო. მაყურებელს ჰქონდა საშუალება მიეღო ინფორმაცია თუ რა დაპირებები გასცეს 2012 წლის არჩევნების პერიოდში და რა შეასრულეს რეალურად. რა განცხადებები გააკეთეს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით და რა კანონპროექტებს დაუჭირეს მხარი პოლიტიკოსებმა.

აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტებმა უყურადღებოდ დატოვეს 29 აგვისტოს „პატროიტა ალიანსის“ წევრთა განცხადებები ევროპასთან კარგი ურთიერთობის შესახებ. არ შეახსენეს ის ანტიდასავლური განცხადებები, რაც მათ გამოსვლებში არაერთხელ ყოფილა.

ჟურნალისტები ასევე არ ჩამივლიან „პატროიტა ალიანსის“ იმ ინიციატივასთან დაკავშირებით, რომელის მიხედვითაც „ქართველ ხალხს უნდა ჰქონდეს რეფერენდუმების დანიშვნის უფლება... როდესაც ქართველ ხალხს ექნება რეფერენდუმების გზით დეპუტატების, ქალაქის მერების, თუნდაც პრემიერმინისტრის, თუნდაც უვარგისი კანონის გამოწვევის უფლება“. ჟურნალისტებმა არ დაანახეს მაყურებელს რამდენად რეალურია ამ ინიციატივის განხორციელება, თუ აქვთ გააზრებული, რა შედეგი ექნება, მსოფლიოში რაიმე ანალოგი თუ არსებობს და აშ.

ასევე კონტრკითხვა არ ჰქონიათ 30 აგვისტოს ნინო ბურჯანაძის ამ განცხადებაზე:

„ყველა ჩვენი საკანონმდებლო აქტი მუშაობს არა იმაზე რომ ბანკი იყოს თავისი თავის სახელმწიფოს და ხალხის სამსახურში არამედ მუშაობს იმაზე რომ ბანკები უსაზღვროდ გამდიდრდნენ და აბსოლუტურად არ არის გათვალისწინებული არც ბანკის კლიენტების ანუ მოსახლეობის ინტერესი და არც ის რომ საბანკო საქმიანობა ეკონომიკის განვითარებას

საწარმოების განვითარებას უმუშევრობის დაძლევის უწყობდეს ხელს, რაც რეალური გათვლების და საბანკო სისტემის სწორი წარმართვის შემთხვევაში ნამდვილად შესაძლებელია.“ მაყურებლისთვის უცნობი დარჩა თუ რას უპირებს ბურჯანაძის პარტია საბანკო სისტემას.

შაბათის კურიერი

„შაბათის კურიერი“ საინფორმაციო გამოშვებაა, სადაც აქტუალურ თემებს სტუმრებთან ერთად განიხილავენ. ისევე როგორც „არჩევანში“, „შაბათის კურიერშიც“ ძირითადად ხუთი პოლიტიკური პარტია ჩანდა - „ქართული ოცნება“, „ნაციონალური მოძრაობა“, „თავისუფალი დემოკრატები“, „სახელმწიფო ხალხისთვის“ და „ლეიბორისტული პარტია“. როგორც „არჩევანში“, „შაბათის კურიერშიც“ წამყვანი აუდიტორიას ამცნობს თუ რომელიმე პირმა გადაცემაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

წამყვანი გიორგი გაბუნია ძირითადად სვამდა ზოგად შეკითხვებს, უფრო მეტად მხარეებს სთხოვდა კონკრეტული მოვლენის, კვირის აქტუალური თემის შეფასებას, ნაკლებად ცდილობდა საკითხის სიღრმისეულ გაანალიზებას.

მაგალითად 9 ივლისის გადაცემაში შალვა ნათელაშვილმა თქვა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს თურქეთის მაშინდელი პრემიერი და ამჟამინდელი პრეზიდენტი «ერდოღანი ჩქანადა პუტინთან, რომ აჭარა წაეღო». ჟურნალისტს არ უკითხავს რესპონდენტისთვის, რა წყაროზე დაყრდნობით გაავრცელა მან ეს ინფორმაცია, რომელიც არანაირი ღია წყაროებით არ არის დადასტურებული. ამას გარდა, შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, რომ ჯონ კერის ვიზიტში საქართველოში მისი „გარკვეული წვლილია“, ვინაიდან თითქმის აშშ-ში ვიზიტების დროს მან თავად ითხოვა, რომ არჩევნებამდე ჩასულიყო კერი საქართველოში და „ადგილზე გაეფრთხილებინა ხელისუფლებას, არ გაეყალბებინათ არჩევნები“. ნათელაშვილმა, ასევე, გააკრიტიკა „რუსთავი2-ის“ დაკვეთით ჩატარებული კვლევა პოლიტიკური პარტიების რეიტინგების შესახებ - „რაც დაჯღაბნა ბოკერია და ის შავი კაცი როა თარხნიშვილი, ეგ რეიტინგები კი არა, ეგ არის მარაზმი“, აღნიშნა ნათელაშვილმა და თქვა, რომ ლეიბორისტებს ყოველი ათი კაციდან 6-7 აძლევს ხმას, თუმცა რას ეფუძნება ეს კალკულაცია არ განუმარტავს და არც ჟურნალისტს ჰქონია დამატებითი კითხვა ამ თემებზე. ნათელაშვილი ფაქტობრივად მონოლოგის რეჟიმში საუბრობდა.

იმედი

ტელეკომპანია იმედის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ ორ გადაცემას ტოქშოუ „პოლიტიკა“ (ყოველ პარასკევს.) და ქრონიკის სტუდია (ყოველ შაბათს)

პოლიტიკა

ტოქშოუ „პოლიტიკა“ ეთერში აღარ გასულა 12 აგვისტოს შემდეგ.

საერთო ჯამში გადაცემაში წარმოდგენილი იყვნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. წამყვანი საშუალებას აძლევდა მათ გამოეხატათ საკუთარი მოსაზრებები, თუმცა დისკუსია იყო ზედაპირული და ნაკლებად მწვავე. რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს მისი ფორმატიდან გამომდინარე - დაახლოებით საათნახევრის განმავლობაში „პოლიტიკა“ ძირითადად განიხილავდა კვირის აქტუალურ თემებს, რაც მედიასაშუალებების მიერ ისედაც უკვე ფართოდ იყო გაშუქებული. გადაცემა ვერ ახერხებდა (რაც შესაძლოა მოსამზადებელი დროის სიმცირით იყოს გამოწვეული) ახალი კუთხით მიმდინარე მოვლენის წარმოჩენას, ანალიზს. შესაბამისად, იგივე მოსაზრებები ტრიალებდა ამ ეთერშიც, რაც საზოგადოებისთვის ისედაც უკვე ცნობილი იყო.

უმეტეს შემთხვევაში გადაცემის მეორე ნაწილი ეთმობოდა პოლიტიკურ პარტიებს, თითოეულ გადაცემაში დაახლოებით 3-4- პირი საუბრობდა. მონიტორინგის პერიოდში პოლიტიკური პარტიის წევრებთან საარჩევნო პროგრამა არ განუხილავთ. ისინი ძირითადად მიმდინარე ამბებს, ანდა სხვათა განცხადებს აფასებდნენ. ერთ სტუმართან შესაძლებელია რამდენიმე მიმდინარე თემა ყოფილიყო განხილული. საბოლოოდ ძნელია იმის გარკვევა, თუ რა იყო გადაცემის ფოკუსი.

მაგალითად, 29 ივლისს ცალკ-ცალკე ისაუბრა 8 სტუმართან, მათ შრის იყვნენ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, პარლამენტის თავმჯდომარე, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე, პოლიტოლოგი, კინორეჟისორი. სადისკუსიო თემა NDI-ს კვლევა იყო, თუმცა ბევრ სხვა საკითხს შეეხნენ საუბრისას.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილის სტუმრობისას პარლამენტს ახალი დასრულებული ჰქონდა 4 წლიანი მუშაობა. მიუხედავად ამისა, არ დასმულა არცერთი კითხვა პარლამენტის საქმიანობის შესახებ, არც კანონშემოქმედებაზე, არც პარლამენტართა გაცდენებზე, არც პრემიებზე, არც მიღწევებზე, არც ევეროინტეგრაციაზე, არც ახალ პოლიტიკურ ძალებზე, არც პოლიტიკური დანაპირების შესრულებაზე, არც ახალ პროგრამაზე და ახალ დაპირებებზე არც თუნდაც იმაზე, როგორ დაიცვა საბურთალოს მცხოვრებთა ინტერესები (უსუფაშვილი საბურთალოს მაჟორიტარი კანდიდატი იყო)

პარლამენტის თავმჯდომარე წამყვანმა ალაპარაკა შემდეგ საკითხებზე:

- რატომ არის მისი განცხადებები ბუნდოვანი, „მომრიგებლური, ნეიტრალური“ (თუმცა წამყვანმა არ მოიყვანა მაგალითად არც ერთი განცხადება მიუხედავად უსუფაშვილის თხოვნისა. რაც აჩენს ეჭვს, რომ არ ჰქონდა მომზადებული)

- რა საკითხზე ელაპარაკა პრემიერს (უსუფაშვილს არც უფიქრია ამ შეხვედრის დეტალების გამჟღავნება)
- ენდობა თუ არ ენდობა NDI-ის კვლევებს
- ტრამპი-კლინტონის ორთაბრძოლა აშშ-ი საპრეზიდენტო არჩევნებში
- სამთავრობო კომისიამ სტრასბურგის სასამართლოში საქართველოდან ასარჩევ მოსამართლეობის კანდიდატთა სიაში რატომ ჩაანაცვლა ნანა მჭედლიძე ევა გოცირიძემ
- საკონსტიტუციო სასამართლოს გარშემო მიმდინარე ამბები

წამყვანი მოუმზადებელი იყო 1 ივლისს, გარემოს დაცვის მინისტრ გიგლა აგულაშვილთან საუბრისთვისაც. ჟურნალისტი არ იცნობდა ჰაერის დაბინძურების შესახებ არანაირ მონაცემებს, რომელიც საქართველოში არსებობს. ასევე არ იცოდა კვლევები, რომლებიც ჩატარებულია ამ საკითხთან დაკავშირებით 2015-16 წლებში, რაც ხელმისაწვდომია გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებსაიტზე². მინისტრს სთხოვს კვლევების შესახებ „მოყვეს“, ჰკითხა საზოგადოებრივი ტრანსპორტის საკითხები თვითმმართველობას ეხება თუ ცენტრალური ხელისუფლებაც ჩარეულია, ვინ უწევს მონიტორინგს საწვავს. ამ საკითხებს, რაც მას წინასწარ უნდა ჰქონოდა მოძიებული, პირდაპირ ეთერში არკვევდა. მინისტრს ამგვარი კითხვების ნაცვლად უმჯობესი იქნებოდა თუ მოუწევდა პასუხის გაცემა იმაზე, თუ რა არ გააკეთა დროულად და რატომ არის მოუგვარებელი პრობლემა უკვე წლების განმავლობაში. გარდა ამისა, წამყვანს არ დაუსვამს კრიტიკული კითხვები კონკრეტული მონაცემების მოშველიებით ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებით. ავტოტრანსპორტის ტექდათვალიერების ინიციატივაზე კი ეკითხება „არჩევნებამდე ვერ გამოვა ხომ?“ ნაცვლად იმისა, რომ ჰკითხოს რატომ არ გაკეთდა აქამდე მაშინ, როდესაც ტექდათვალიერება 2015 წლის 1 მარტიდან³ უნდა გამხდარიყო სავალდებულო. ამასთან მინისტრს სთხოვს თავად შეაფასოს მთავრობის საქმიანობა, რაც მათ გარემოს დაცვის მიმართულებით განახორციელეს 4 წლიანი მმართველობის განმავლობაში. მინისტრი პასუხობს, რომ ეს მედიის ფუნქცია უფროა - „ეს მე არ უნდა შევაფასო“.

22 ივლისის გადაცემაში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატს, კობა ნარჩემაშვილს საუბრის დასასრულს ჰკითხა - «ინსტიტუციური ძალადობა ჯობია [სააკაშვილის მთავრობის მთავარი ნიშანი] თუ ტოტალური კორუფცია [შევარდნაძის მთავრობის მთავარი ნიშანი, რომლის წევრი ნარჩემაშვილიც იყო], რომელსაც შემდეგ როგორც ჩანს მოჰყვება ხოლმე ძალადობა? რესპონდენტმა ირიბად მიანიშნა რომ ტოტალური კორუფცია ჯობდა. ამის შემდეგ ჟურნალისტი დაემშვიდობა ნარჩემაშვილს.

თეონა გეგელიამ არ დაუსვა მნიშვნელოვანი კითხვები მისი მინისტრად მუშაობის პერიოდში რა გააკეთა მნიშვნელოვანი. ერთი რეფორმა, ერთი თამამი გადაწყვეტილება მაინც თუ აქვს

² <http://nea.gov.ge/>

³ <http://ick.ge/articles/17197-i.html>

მიღებული მინისტრის პოსტზე; კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად თუნდაც თავის სისტემაში მაინც თუ გადაუდგამს ერთი ნაბიჯი. რატომ უნდა მისცეს მოსახლეობამ ხმა ადამიანს, რომელმაც კორუფციას ვერაფერი მოუხერხა თავის სისტემაში?

ქრონიკის სტუდია

„ქრონიკის სტუდია“ 30 ივლისის შემდეგ ეთერში აღარ გასულა.

„ქრონიკის სტუდიას“ და „პოლიტიკას“ თითქმის იდენტური ფორმატი ჰქონდათ, ამასთან ხშირად ორივე ტოქშოუში ერთი და იგივე თემა იყო განსახილველი. „ქრონიკის სტუდიაში“ სხვდასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები სტუმრობდნენ და დაცული იყო ბალანსი და მოსაზრებათა მრავალფეროვნება. მათ სათანადო დრო ეძლეოდათ პასუხების გასაცემად, მაგრამ ისინი ერთმანეთის პირისპირ არ სხდებოდნენ და დებატები არ იმართებოდა. სტუმრებს წამყვანის კითხვებზე პასუხის გაცემა ცალკ-ცალკე უხდებოდათ.

როგორც „ქრონიკის სტუდიაში“, ისე „პოლიტიკაში“ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა მიმართ კითხვები ისმებოდა არა მათი კომპეტენციებიდან გამომდინარე, არამედ მიმდინარე მოვლენების შესახებ და ისინი ერთგვარ ექსპერტებად წარმოგვიდგებოდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ სამონიტორინგო პერიოდში გადაცემას არაერთი პოლიტიკოსი სტუმრობდა, წამყვანს არ დაუსვამს საარჩევნო პროგრამასთან დაკავშირებული კითხვები.

მაგალითად 23 ივლისს „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერ ირაკლი ალასანიას საარჩევნო გარემოზე დაუსვა კითხვა, ალასანია შეეცადა პარტიის პროგრამაზეც ელაპარაკა, თუმცა, წამყვანმა არ მისცა ამის საშუალება და უთხრა რომ გადაცემის თემა ეს არ იყო.

იყო შემთხვევა, როდესაც ეთერში მოჰყავდათ პოლიტიკოსები, რომლებიც გადაცემის თემასთან არარელევანტური რესპოდენტები იყვნენ და არ იცოდნენ მიმდინარე საკითხი. მაგალითად 30 ივლისის გადაცემაში უმრავლესობის წევრ გედევან ფოფხაძესთან საუბარი შეეხებოდა სტრასბურგის სასამართლოში ნანა მჭედლიძის ევა გოცირიძით ჩანაცვლების საკითხს, რაც მთავრობის გადაწყვეტილება იყო. დაახლოებით ათ წუთიან ინტერვიუში გედევან ფოფხაძემ სამ კითხვაზე პასუხი დაიწყო ასე: 1. ეს იყო მთავრობის გადაწყვეტილება და მე ასე დეტალურად ვერ გეტყვით მთავრობამ რითი იხელმძღვანელა 2. მაგაზე ვერაფერს ვერ გეტყვით - ევროსასამართლო ამ შემთხვევაში რეკომენდაციებს გვამლევს მთავრობამ ასე ჩათვალა 3. მე არ ვიცი ანა დოლიძის კანდიდატურის მისამართით თუ გამოითქვა რაიმე მოსაზრებები.

კითხვებზე პასუხი პარლამენტარმა დაიწყო სიტყვებით «არ ვიცი» და მაინც ეთერში 10 წუთის განმავლობაში უწევდა იმ კითხვებზე პასუხი, რაც არ იცოდა.

საზოგადოებრივი აზრის კვლევები (GFK) არც ამ გადაცემაში გაანალიზდა სათანადოდ და პოლიტიკური სპეკულაციების ჭრილში დარჩა.

იყო შემთხვევა, როდესაც პირდაპირ ეთერში არკვევდა იმ დეტალებს, რაც უმჯობესია ეთერს მიღმა დაზუსტებულიყო და კითხვები სხვა ფორმულირებით დასმულიყო ეთერში. მაგალითად, 23 ივლისს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილის მიერ ზეწოლის შესახებ გაკეთებულ განცხადებაზე სასაუბროდ ეთერში 2 წუთით ჩართო ანა დოლიძე, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი, რომელსაც ეთერში ჰკითხა „თუ მიიღეთ დამატებითი ინფორმაცია გიორგი პაპუაშვილისგან გამომდინარე იქიდან, რომ ბათუმში იმყოფებით და საკონსტიტუციო სასამართლოც ბათუმშია“. რაზეც ანა დოლიძემ უარყოფითი პასუხი გასცა და თქვა, რომ ელოდება პრეზიდენტისა და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის შეხვედრას. წამყვანის შემდეგი კითხვა ეხებოდა იმას, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები, რესპონდენტმა განაცხადა, რომ პროკურატურამ უნდა გამოიძიოს. მასთან საუბარიც დასრულდა.

როდესაც ტოქშოუში პოლიტიკური ოპონენტები ერთმანეთის პირისპირ არ სხედან, ჟურნალისტს მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება. ასეთ შემთხვევაში მან უნდა დასვას მწვავე კითხვები, იმუშაოს, მოიძიოს მასალა.

GDS

ტელეკომპანია GDS-ის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ გადაცემა 2030-ის იმ ნაწილს, სადაც სტუმრებთან ერთად ტოქშოუს ფორმატში განიხილავენ სხვადასხვა თემას. აგრეთვე გადაცემას „59 წამი“, რომელიც ყოველ კვირას გადიოდა ეთერში.

2030

გადაცემის მონიტორინგისას გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემა, მათ შორის კრიტიკული კითხვების ნაკლებობა, განსაკუთრებით ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ, ასევე მოწვეული სტუმრების და მათ მიმართ დასმული კითხვების რელევანტურობა. სამონიტორინგო პერიოდში 15-ჯერ იყო მიწვეული „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი ეთერში სასაუბროდ, მაშინ როდესაც სხვა პარტიის ორზე მეტ წარმომადგენელს სტუმრის სტატუსით არ უსაუბრია. გადაცემაში მონაწილეობა არ მიუღიათ მთავარი ოპოზიციური პარტიის, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს და არც განმარტება გაკეთებულა. თუ რომელიმე სტუმარი უარს ამბობს გადაცემაში მისვლაზე უმჯობესია, ჟურნალისტმა ამის შესახებ აცნობოს საზოგადოებას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მმართველი გუნდის მიმართ კრიტიკული კითხვები არ ისმოდა. მაგალითად 8 ივლისს ეკა ბესელიას მიეცა საშუალება ფაქტობრივად მონოლოგის რეჟიმში ესაუბრა ქვეყნის საგარეო კურსზე, ვარშავის სამიტზე, საშინაო პოლიტიკაზე, ადამიანის უფლებების მხრივ არსებულ მდგომარეობაზე, არჩევნებზე. წამყვანს არ დაუსვამს მისთვის კრიტიკული კითხვები. როდესაც წამყვანი სტუმართან პირისპირ საუბრობს და ეთერში სხვა, საპირისპირო პოზიციის რესპონდენტი არ მონაწილეობს გადაცემაში, სწორედ მან უნდა გაუწიოს ოპონირება და დაუსვას დამაზუსტებელი, კრიტიკული შეკითხვები, მოიშველიოს კონტრარგუმენტები.

ეკა ბესელიასთან ერთ-ერთი კითხვა ასე იყო ფორმულირებული: „თქვენ იმყოფებით ბრიტანეთში და პარლამენტში გამართეთ პრეზენტაცია, შეგიძლიათ გვითხრათ რას გულისხმობდა, რას ეხებოდა ეს პრეზენტაცია?“

ამ კითხვის გამო მმართველი გუნდის წარმომადგენელმა მადლიერება გამოხატა და აღნიშნა: „მნიშვნელოვანია ესეთ პოზიტივზე და ძალიან მნიშვნელოვან წარმატებებზე მეტი ინფორმაცია ჰქონდეთ ჩვენს მოქალაქეებს და მადლობა იმისთვის, რომ ამ საკითხზე შეგვიძლია ვისაუბროთ“. შემდეგ კი განაგრძო საუბარი, როგორი კარგი მდგომარეობაა ქვეყანაში ადამიანის უფლებების რეფორმების მხრივ. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზე საზოგადოებაში ბევრი კრიტიკული მოსაზრება არსებობს მმართველი გუნდის მიმართ, წამყვანს არ დაუსვამს კითხვები არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია რომ 2030-ს სტუმრების ბლოკში ხშირად ისმის არაფრის მომცემი კითხვები, მაგალითად 11 ივლისს გია ვოლსკისთან ინტერვიუ დაიწყო კითხვით თუ რატომ დაიწყებს „ქართულმა ოცნებამ“ მაჟორიტარების წარდგენას მინაცდამაინც იმერეთიდან? სტუმარმა აღნიშნა, რომ ამ კითხვის დასმა ნებისმიერი სხვა რეგიონის შერჩევის შემთხვევაშიც შეიძლებოდა.

12 ივლისს პარლამენტის თავმჯდომარე და „რესპუბლიკური პარტიის“ ლიდერი, დავით უსუფაშვილსა და წამყვანს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

წამყვანი: ბატონო დავით, კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი, აჭარის არჩევნებისთვის ემზადებით და იგივე დავით ბერძენიშვილი უხელმძღვანელებს ამ მიმართულებას, კონკრეტულად თუ შეგიძლიათ გვითხრათ, რა არის თქვენთვის მიუღებელი

სტუმარი იბნევა და კითხვის დაზუსტებას ცდილობს:

სტუმარი: მიუღებელი?

წამყვანი: დიახ

სტუმარი: რაში?

წამყვანი: რის შეცვლასაც არჩევნების შემდეგ გეგმავთ ანუ დღევანდელ რეალობაში

სტუმარი: აჭარაში?

წამყვანი: დიახ და არა მხოლოდ აჭარაში

სტუმარი: არა თქვენ აჭარით დაიწყეთ, ბოდიში შეიძლება ვერ გავიგე კარგად კითხვა

ამის შემდეგ რესპონდენტი საუბარს იწყებს აჭარაში წინასაარჩევნო პროცესზე და რესპუბლიკელების პარტიულ სიაზე. წამყვანის შეკითხვა, როგორც ჩანს, ბოლომდე გაუგებარი დარჩა სტუმრისთვის და „რა არის მიუღებელი“ არ უთქვამს.

59 წამი

59 წამი განსხვავებული ფორმატის გადაცემაა, აქ სტუმრებს წამყვანი რიგრიგობით უსვამს შეკითხვას, რაზეც პასუხის გაცემა 59 წამში უნდა მოახერხონ. ასეთი ფორმატის უპირატესობა ისაა, რომ სტუმები ერთმანეთს უსმენენ ერთმანეთს, თანაბარ პირობებში არიან, ერთდროულად არავინ საუბრობს, თუმცა მეორეს მხრივ, აშკარაა, რომ მათ აზრის გამოთქმა 59 წამში უჭირთ. გადაცემის ფორმატი ითვალისწინებს დამატებითი 59 წამის მიცემასაც, მაგრამ გაუგებარია, რა პირნიციპით უმატებს წამყვანი სტუმრებს ამ დროს. ის შესავალში განმარტავს, რომ დამატებითი 59 წამის გამოყენების უფლება სტუმრებს მხოლოდ ერთხელ აქვთ, თუმცა იყო შემთხვევები, როცა მათ ეს დრო უფრო მეტჯერ მიეცათ. როცა სტუმარი დამატებითი დროის მიცემას თხოვს, წამყვანი ხშირად იბნევა და ელოდება როდის ეტყვიან „ყურში“, ეკუთვნის თუ არა ამა თუ იმ სტუმარს დამატებითი დრო.

გარდა ამისა, სწორედ ამ ფორმატიდან გამომდინარე, სტუმრები ფაქტობრივად ვერ შედიან დიალოგში, ვერ ვხედავთ დებატებს, ხშირად, ისინი იწყებენ საუბარს მაშინ, როცა ოპონენტის მიკროფონია ჩართული, ამ დროს კი მათი ხმა არ ისმის. (მაგ. 10 ივლისის გადაცემა) სწორედ ფორმატიდან გამომდინარე, ტოკშოუში ვერ ვხედავთ კამათის, ოპონირების ცოცხალ პროცესს.

სასაუბრო თემა ყოველთვის მკაფიოდ არის განსაზღვრული. წამყვანის კითხვები არის კონკრეტული და შესაბამისად, სტუმრებიც იძულებულნი არიან, სწორედ იმ კითხვას გასცენ პასუხი, რასაც წამყვანი სვამს და იყვნენ მომზადებულები.

გადაცემა, როგორც წესი, ორ ნაწილიანია, თუმცა თემატურად, ეს ორი ნაწილი ერთმანეთს არ უკავშირდება, მაგალითად, 24 ივლისის პირველ ბლოკში პარტიებმა ჯანდაცვის პრიორიტეტებზე ისაუბრეს, მეორე ბლოკში კი სფეროს სპეციალისტებმა, მასწავლებლებმა, სკოლის დირექტორმა სასკოლო განათლება მიმოიხილეს.

შესაძლებელია, რომ უმჯობესი იყოს გადაცემის ორივე ნაწილის თემატურად დაკავშირება. მაგალითად, თუ პირველ ნაწილში პოლიტიკოსები ჯანდაცვაზე საუბრობენ, მეორე ნაწილში იგივე თემა ექსპერტებთან და არასამთავრობოებთან საუბრით გაგრძელდეს. ასე, მაყურებელი ერთი კონკრეტული თემის შესახებ უფრო ამომწურავად მიიღებს პასუხს და დაინახავს რამდენად თანხვედრაშია პოლიტიკოსების ხედვები სამოქალაქო საზოგადოებასთან.

წამყვანის მხრიდან თითქმის არასოდეს ისმის კონტრ კითხვები, ჩაძიება და ა.შ. კითხვები არ გამომდინარეობს პასუხისგან. ვერ ვხედავთ ინტერვიუს ცოცხალ პროცესს. როგორც ჩანს, ამ ტიპის შეკითხვებს ფორმატი არ ითვალისწინებს და წამყვანი უბრალოდ არბიტრია.

როგორც წესი, წამყვანი მომზადებულია და იცის თემა, მაგალითად, 10 ივლისს პარტიების ეკონომიკური ნაწილის განხილვისას წამყვანს ეტყობოდა პროგრამების სიღრმისეული ცოდნა. თუმცა 17 ივლისის გადაცემაში, სადაც თემა პროგრამების სოციალური ნაწილი იყო, ჟურნალისტმა სტუმრებს დაუსვა შეკითხვა, რომელიც წესით სტუდიაში კი არ უნდა გამოერკვია, არამედ გადაცემის მომზადების პროცესში.

„დემოგრაფიულ პრობლემებზე ვსაუბრობდით და ბატონო გიორგი მივიდა უკვე იმ თემამდე, შიმშილამდე, მაგალითად, საინტერესოა თქვენი მხრიდან რომ გვითხრათ, სტატისტიკა ბევრი ციფრი იცით? საკამოდ ბევრი ფურცელი გაქვთ მოტანილი, რომელიც ამტკიცებს გარკვეულ სტატისტიკურ მონაცემებს გვამღევს, როგორია ბოლო 2-3 წლის განმავლობაში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ადამიანების რიცხვი საინტერესოა შეიცვალა თუ არა, გაუმჯობესდა, გაუარესდა, ან დარჩა თუ არა უცვლელი“.

ცოტა დამაბნეველი და გაუგებარია ხოლმე გადაცემის ინტერაქტივის შეკითხვები. მაგალითად: 21 აგვისტოს ინტერაქტივის შეკითხვა ასეთი იყო:

რას ანიჭებთ უპირატესობას?

ა)სწრაფ განვითარებას

ბ)მაღალი ხარისხის დემოკრატია

გ)ორივე შესაძლებელია

საკითხი ისეა დაყენებული, თითქოს თუ ეკონომიკურად სწრაფად განვითარდა ქვეყანა, ეს ნიშნავს რომ დემოკრატიის ხარისხი მაღალი არ იქნება და პირიქით, თუ დემოკრატიის მაღალი ხარისხის შემთხვევაში სწრაფი ეკონომიკური განვითარება ვერ მოხდება.

პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის შესახებ 28 აგვისტოს გასულ გადაცემაში იგრძნობოდა სტერეოტიპული მიდგომები როგორც წამყვანის შეკითხვებში, ისე სტუმრების პასუხებში (სტერეოტიპული თუმცა არა დისკრიმინაციული). წამყვანმა და სტუმრებმა ქალების მისამართით არაერთხელ გამოიყენეს სიტყვა „ქალბატონი“, რაც სტერეოტიპულ გამონათქვამად მიიჩნევა და ხელს უწყობს ქალის ზეადმატებულ, განსაკუთრებულ არსებად წარმოჩენას, მის სტერეოტიპიზაციას და პოზიტიურ დისკრიმინაციას.

მიზეზები, საერთოდ რატომ არის ქალის პოლიტიკაში მონაწილეობა მნიშვნელოვანი, ან კვოტირება რატომაა კარგი, ან ცუდი გადაცემაში არ განუხილავთ. სამაგიეროდ, დიდი დრო დაეთმო იმაზე საუბარს, დღევანდელი პარლამენტარი ქალები უბრალოდ პულტზე ხელის დამკერები არიან თუ „ვარსკვლავები“ („ვარსკვლავები“ წამყვანმა უწოდა იმ პარლამენტარებს, რომლებიც ეკრანზე ხშირად ჩანან და აკეთებენ განცხადებებს სხვადასხვა თემაზე)

მაესტრო

ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ ტოქშოუებს „მაესტროს ფაქტორი“, „ლამის კონტაქტი“ და „SWOT ანალიზი“. „ლამის კონტაქტი“ ეთერში პირველად 9 აგვისტოს გავიდა. რის შემდეგაც გადაცემების ეთერში გასვლის დრო შეიცვალა.

მაესტროს ფაქტორი

„მაესტროს ფაქტორი“ არ არის ფოკუსირებული ერთ კონკრეტულ თემაზე და ზედაპირულ მსჯელობას სთავაზობს აუდიტორიას სხვადასხვა საკითხზე. ხშირ შემთხვევაში წამყვანი რამდენიმე თემის შესახებ წამყვანი ყველა სტუმარს უსვამდა ერთნაირ კითხვას (მაგ. როგორია თქვენი პოზიცია?).

სამონიტორინგო პერიოდში „ქართული ოცნების“ 25 წარმომადგენელი სტუმრობდა (მათ შორის მაჟორიტარი კანდიდატი მამუკა მდინარაძე 4-ჯერ სტუმრობდა გადაცემას), „გირჩისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები კი 10-10-ჯერ.

21 ივლისს მაგდა ანიკაშვილმა „ქართული ოცნების“ მაჟორიტარ კანდიდატს, კობა ნარჩემაშვილს, პრაქტიკულად ტრიბუნა დაუთმო სხვადასხვა თემაზე სასაუბროდ. გამოიკვეთა წამყვანის სუბიექტური დამოკიდებულება საკითხის მიმართ. ანიკაშვილმა ნარჩემაშვილს ჰკითხა: „ამომრჩეველს რამდენად აქვს დღეს ანალიზის უარი, რომ გადალახოს ეს გარკვეული სტერეოტიპები და რაც არის ეს ნაკადი, ბრალდებების, ამას აცდეს?“ გარდა იმისა, რომ ამ კითხვაში ჩანს წამყვანის დამოკიდებულება (ნარჩემაშვილის შეფასება შევარდნაძის პერიოდიდან გამომდინარე რომ სტერეოტიპია), გაუგებარია რატომ უნდა შეაფასოს ამომრჩეველის უნარები მაჟორიტარმა კანდიდატმა, ან რას მისცემს ამომრჩეველს ამ კითხვაზე პასუხი.

„ქართული ოცნების“ წევრი არ არის, თუმცა ასეთივე ფორმატი შესთავაზა ანიკაშვილმა სალომე ზურაბიშვილსაც, რომელიც დამოუკიდებელი მაჟორიტარი კანდიდატი იქნება მთაწმინდის ოლქში⁴.

კობა ნარჩემაშვილისა და სალომე ზურაბიშვილისგან განსხვავებით, 26 ივლისს „სახელმწიფო ხალხისთვის“ კანდიდატს კოტე კემულარიას, წამყვანმა შედარებით კრიტიკული კითხვები დაუსვა, მოსთხოვა საკუთარი განცხადების დასაბუთება დამნაშავეთა დასჯის შესახებ, ასევე მას, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილ წევრს, კითხვები დაუსვა სააკაშვილის მმართველობის შეცდომებზე.

⁴ „ქართულმა ოცნებამ“ მთაწმინდის ოლქში საკუთარი კანდიდატი არ წარადგინა და აღნიშნა, რომ მხარს სალომე ზურაბიშვილს უჭერს.

კრიტიკული კითხვები არ დაუსვამს წამყვანს, მაგდა ანიკაშვილს 1 აგვისტოს თავდაცვის ახალი მინისტრის, ლევან იზორიასთვის, რომლის მიმართაც არაერთი პრეტენზია არსებობს და ეს ერთ-ერთი პირველი ინტერვიუ იყო ახალი პოსტის დაკავების შემდეგ.

მის მიერ დასმული კითხვა, მაგალითად ასეთი იყო:

„ხიდაშელმა თქვა, რომ ეს არის პრემიერის შეცდომა, როდესაც ამ თანამდებობაზე ინიშნება ადამიანი უშიშროებიდან. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ თქვენი შემთხვევა არ არის უნიკალური, აშშ-ს თავდაცვის უწყებას ხელმძღვანელობდა რობერტ გეითი, რომელიც მანამდე იყო ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ხელმძღვანელი. შტატებისთვის ეს არ ყოფილა პრობლემა. მაგრამ მაინტერესებს თქვენი აზრი, თქვენი გამოცდილება უშიშროების უპირატესობაა თუ შეიძლება მართლაც რაიმე პრობლემა შეიქმნას?“

წამყვანს არ აუხსნია აუდიტორიისთვის რატომ მიაჩნდათ ოპონენტებს, რომ არ შეიძლება უშიშროების კადრი ინიშნებოდეს თავდაცვის მინისტრად. ამის შემდეგ დასმულ კითხვაში კი უკვე გარკვეული სკეპტიციზმი იგრძნობოდა ნატოში საქართველოს ინტეგრაციის მიმართ:

„ბოლო წლების განმავლობაში თავდაცვის მინისტრებს ერთი თავისებურება ახასიათებთ. მათი უმრავლესობა მოსახლეობას უქმნიან ხოლმე გადაჭარბებულ მოლოდინებს უქმნიან ნატოში ინტეგრაციასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით, სამიტების წინ... თქვენ თუ იქნებით გამორჩეული და ზომიერი?“

ნატოში გაწვრიანების მიმართ სკეპტიციზმი კიდევ არაერთ გადაცემაში გამოიკვეთა.

ზოგჯერ გაუგებარია, რა პრინციპით ირჩევა გადაცემის თემა და სტუმრები. მაგალითად 22 ივლისს “მაესტროს ფაქტორში” ერთერთი მთავარი თემა დეპუტატ თამაზ მეჭიაურის რუსეთში ვიზიტი იყო. მეჭიაური მოსკოვიდან სკაიპით ჩართეს. გაუგებარია, რატომ გაამახვილეს ამხელა ყურადღება თამაზ მეჭიაურის ვიზიტზე. ასევე საკმაოდ დიდი დროის განმავლობაში მეჭიაურს საშუალება ჰქონდა პრორუსული მესიჯები გაეგრძელებინა.

ამგვარი რიტორიკის, დემაგოგიური და ცრუ ინფორმაციის გავრცელების საშუალება მიეცა ღიად პრორუსული პარტიის, სოციალისტების ლიდერს ვალერი კვარაცხელიას 4 აგვისტოს.

8 ივლისს კი გადაცემის ერთი ბლოკი მთლიანად ნინო ბურჯანაძეს და მის უბლოკო სტატუსს დაუთმო.

თამაზ მეჭიაური და ნინო ბურჯანაძე ორჯერ სტუმრობდნენ გადაცემებს. საანაგრიშო პერიოდში რესპონდენტებად ასევე მოწვეულნი იყვნენ ირმა ინაშვილი, კახა კუკავა (3-ჯერ), ლევან მამალაძე, ჯონდი ბაღათურია, ნანა დევდარიანი, „ცენტრისტები“ - თეიმურაზ ხაჩიშვილი (2ჯერ) ვლადიმერ ბედუკაძე. 15 აგვისტოს „ცენტრისტების“ ორივე წარმომადგენელი ჰყავდა მიწვეული - პირველ ბლოკში თეიმურაზ ხაჩიშვილი, მეორეში - ვლადიმერ ბედუკაძე.

იმისათვის, რომ მაყურებელი შეცდომაში არ შევიდეს, წამყვანი ამგვარი პირების, ღიად პრორუსული ორიენტაციის მქონე ადამიანების მოწვევისას, უნდა იყოს სათანადოდ მომზადებული და არ მისცეს საშუალება რესპონდენტებს გაავრცელონ არასწორი ინფორმაცია.

გაუგებარია სტუმრების მოწვევის სპეციფიკა. საკვლევ პერიოდში იყო შემთხვევები, როდესაც წამყვანმა ეთერში მოიწვია სტუმრები, რომლებიც არ იყვნენ დაკავშირებული განსახილველ თემასთან, ან არ იყვნენ ამ თემის სპეციალისტები.

მაგალითად 5 ივლისს, როდესაც გადაცემის თემა იყო გიგი წერეთლის დამარცხება ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის არჩევნებში, „მაესტროს ფაქტორში“ პირველი სტუმრები იყვნენ თამაზ მეჭიაური და ასევე კახა კუკავა. ისინი არ წარმოადგენდნენ რომელიმე დაპირისპირებულ მხარეს. ამასთან თამაზ მეჭიაურმა, რომელმაც გახსნა ეთერი, გარდა გიგი წერეთლის საქმისა, საკუთარი პარტიის ხედვებსა და სამომავლო პოლიტიკურ გეგმებზეც ისაუბრა.

ზოგიერთ შემთხვევაში წამყვანი მიკერძოებული იყო და გარკვეულ შეფასებას აძლევდა მოვლენებს. მაგალითად 1 ივლისს გასულ გადაცემაში წამყვანმა მაგდა ანიკაშვილმა რუსი დეპუტატების მიერ ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის გიგი წერეთლისადმი მხარდამჭერ განცხადებებს, „ნაციონალების და რუსული დელეგაციის დამეგობრება“ უწოდა. ეს მაშინ, როდესაც გადაცემაში მეორე მხარე წარმოდგენილი არ ყოფილა, მას არ ჰქონდა პასუხის გაცემის საშუალება. აღსანიშნავია, რომ თავად „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები სხვა გადაცემებში გაკეთებულ განცხადებებში რუსი დეპუტატების ქცევას მათ წინააღმდეგ მიმართულ კამპანიად აღიქვამდნენ და „პოლიტიკურ ხრიკს“ უწოდებდნენ.⁵

აბსოლუტურად დაუბალანსებელი იყო 15 ივლისის გადაცემა, რომელიც ბიზნესმენებისთვის ქონების წართმევას შეეხებოდა ეთერში ისხდნენ მხოლოდ ბიზნესმენები, რომლებიც დაზარალებულად აცხადებდნენ თავს და არ ჩანდნენ იმ პირთა წარმომადგენლები, ვისაც ბიზნესმენებზე ზეწოლა და ქონების წართმევა ბრალდება. მათი პოზიცია არც ჟურნალისტების მიერ იყო წარმოდგენილი და ამასთანავე არ ჩანდა წამყვანების მცდელობა მოეპოვებინათ მეორე მხარის კომენტარები. გადაცემაში ზეწოლისა და მუქარის ამსახველი კონკრეტული და დადასტურებული ფაქტები წარმოდგენილი არ ყოფილა. ამასთანავე გადაცემის მიმდინარეობისას გაირკვა, რომ საქმეებს აწარმოებს სასამართლო, ან იძიებს პროკურატურა, რაც იმას ნიშნავს, რომ დანაშაული ჯერ დადგენილი არ არის და ჟურნალისტს არ შეუძლია ისაუბროს მტკიცებითი ფორმით ბიზნესმენების გაკოტრებასა და „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დანაშაულებებზე. ეს მაშინ როცა წამყვანმა ასეთი შესავალი გააკეთა გადაცემის დაწყებისას - „რევოლუციას ეკუთვნის ყველაფერი, ფული, ბიზნესაქტივები, უძრავი ქონება, ადამიანების სიცოცხლე და თავისუფლება. ვარდების რევოლუციიდან 2012

⁵ <http://rustavi2.com/ka/news/50842>

წლის 1 ოქტომბრამდე დღეს ჩვენ ძალადობრივი გარიგებების ქრონოლოგიას გიჩვენებთ. როგორი იყო ბიზნესმენების გაკოტრების და პოლიტიკოსების გამდიდრების სქემა, როგორ ათმობინებდნენ მრავალმილიონიან ქონებას, ემუქრებოდნენ და ასამართლებდნენ ადამიანებს სააკაშვილის მმართველობის პერიოდში? ვინ ხელმძღვანელობდა და ვინ ასრულებდა ბრძანებებს კერძო საკუთრების დიდი გადანაწილების პროცესში? ისტორიები, რომელთა შესახებაც წლების განმავლობაში ადამიანები ჩურჩულით ლაპარაკობდნენ“

წამყვანი მაგდა ანიკაშვილი ხშირად სვამდა საკმაოდ არალოგიკურ და ზედაპირულ კითხვებს, ზოგჯერ კი ავლენდა საკითხის არცოდნას. 5 ივლისის გადაცემაში წამყვანმა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ნოდარ ჯავახიშვილი ასე წარადგინა: “სად იქნება არჩევნების შემდეგ და რას ფიქრობს გასაიდუმლოებულ სახელმწიფო ტენდერებზე, უგზოობა და წინასაარჩევნო კამპანია, სად მივა და სად ვერ მივა „ქართული ოცნების“ გზა”. ჯავახიშვილის სტუმრობისას კი საერთოდ არ უხსენებია გასაიდუმლოებული სახელმწიფო ტენდერები. წამყვანის კითხვები საკმაოდ ზედაპირული იყო. მაგალითად მაგდა ანიკაშვილმა ნოდარ ჯავახიშვილს ჰკითხა: “საინტერესოა გზების დაგება?” “გაქვთ სურვილი, რომ არჩევნების შემდეგ გააგრძელოთ ეს საქმიანობა?” ასევე იკითხა „ეს მითია რომ სააკაშვილის პერიოდში რომ გზები, გზები... არის საზოგადოებაში აზრი, რომ იმ დროს იგებოდა გზები“. რესპონდენტის დაეთანხმა და ილაპარაკა იმაზე თუ როგორ ამბობდა სააკაშვილი რომ მთიან აჭარაში საუკეთესო თოვლია. გარდა იმისა, რომ კითხვის ფორმულირებაშივე ჩანდა მიკერძოება, წამყვანს რესპონდენტისთვის დასაბუთება არ მოუთხოვია. გაუგებარი დარჩა რატომ არის მითი გზების დაგების შესახებ და რა კავშირშია ის თოვლის შესახებ განცხადებასთან.

8 აგვისტოს კი ირაკლი სესიაშვილს ასეთი კითხვა დაუსვა: „ცხრა აპრილს საზოგადოება სულ ყოველთვის დგას რუსთაველზე... დღეს მუხათგვერდში უფრო სჭარბობდნენ პოლიტიკოსები და მინისტრთა კაბინეტის წევრები, რა თქმა უნდა, დაღუპულ გმირთა ოჯახის წევრები. როგორ აფასებთ, საზოგადოებისათვის რვა აგვისტო არ არის ისეთი ემოციური დღე, როგორიც ვთქვათ ცხრა აპრილი? რატომ არა დგას რიგები მუხათგვერდში? საზოგადოება ვერ აღიქვამს ამ ბიჭების შემართებას, თავდადებას ისე ჯეროვნად, როგორც უნდა აღიქმებოდეს?“

13 ივლისს ქართული ოცნების წევრს ომარ ნიშნიანიძესთან საუბრისას წამყვანი დაინტერესდა იქნებოდა თუ არა ის ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, რაზეც ნიშნიანიძემ უპასუხა, რომ ეს გადაწყვეტილი არ არის, თუმცა თავად დიდი სურვილი აქვს. მაგდა ანიკაშვილმა კი სტუმარს მიუხედავად ამისა ჰკითხა: “ეს ძალიან დიდი გამოწვევაა და დიდი პატივია. რას ეტყვიტ ქუთაისელებს?” იმავე გადაცემაში თამაზ მეჭიაური წუხდა, რომ ომარ ნიშნიანიძე არ მოხვდა პარტიულ სიაში, მაგდა ანიკაშვილმა კი მას “ქართული ოცნების” საარჩევნო სიის შედგენაზე ჰკითხა: “სევდიანი პროცესია?” შემდეგ კი მეჭიაურს აპასუხებინა კითხვაზე თუ რატომ იყო საჭირო პრემიერს მხრიდან ახალი კანდიდატების დასავლურ განათლებაზე ხაზგასმა. მეჭიაურმა ამის საპასუხოდ გაიხსენა რომ ილია ჭავჭავაძეს

პეტერბურგში ჰქონდა განათლება მიღებული. იქვე ჩაეკითხა წამყვანი „თქვენ ფიქრობთ, რომ ილიას გზას გადაუხვია „ქართულმა ოცნებამ?“

ამგვარი არალოგიკური და არაფრისმომცემი კითხვებზე პასუხით აუდიტორია ვერ იღებს ღირებულ ინფორმაციას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ექსპერტის სტატუსით 4-ჯერ იყო მიწვეული სტუდიაში ირაკლი ზარქუა, მას წამყვანი წარადგენდა როგორც საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობების სპეციალისტს, თუმცა ეკონომიკის ნაცვლად ის შიდა პოლიტიკურ პროცესებს აფასებდა. აღსანიშნავია რომ ზარქუა ყოფილი პრემიერ მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის მიერ შექმნილი, „2030-ის“ ექსპერტი და გადაცემა „2030-ის“ მრჩეველი იყო ეკონომიკურ საკითხებში⁶

რეკლამის შთაბეჭდილებას ტოვებდა 27 ივლისს “მაესტროს ფაქტორის” მესამე ბლოკი, სადაც საუბარი იყო “ჯემ ფესტი” ფესტივალზე, რომელიც როგორც ცნობილია მთავრობის მხარდაჭერით ტარდება. წამყვანმა დასვა ძალიან ზედაპირული კითხვები, რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ძირითადად ფესტივალის კარგად წარმოსაჩენად. წამყვანს არცერთხელ არ უხსენებია, კერძო ფესტივალების ორგანიზატორები საუბრობენ იმაზე, რომ კერძო ინიციატივებს, „ჯემ ფესტი“ და მთავრობის მხარდაჭერით ჩატარებული ფესტივალები გარკვეულ ფინანსურ პრობლემებს უქმნის, რადგან არათანაბარ კონკურენციაში არიან.

ღამის კონტაქტი

“ღამის კონტაქტი” ეთერში გადის 9 აგვისტოდან კვირაში სამჯერ, ამის შემდეგაც შემცირდა „მაესტროს ფაქტორის“ გასვლის პერიოდულობაც და ის კვირაში ორჯერ გადის. აღსანიშნავია, რომ გადაცემების ფორმატი თითქმის იდენტურია.

გადაცემას სტუმრობდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წევრები და მეტ-ნაკლებად წარმოჩენილი იყო მოსაზრებათა მრავალფეროვნება. თუმცა აღსანიშნავია, რომ „ქართული ოცნების“ 9 წარმომადგენელი, მათ შორის მაჟორიტარობის კანდიდატები ჰყავდათ მიწვეული, მაშინ როდესაც „ნაციონალური მოძრაობის“ მხოლოდ ორი წევრი სტუმრობდა და საარჩევნო თემატიკაზე მათ არ უსაუბრიათ. ასევე ორჯერ იყო მიწვეული „რესპუბლიკური პარტია“, „სახელწიფო ხალხისთვის“ „გირჩი“ და „ეროვნული ფორუმი“. ერთხელ კი „დემოკრატიული მოძრაობა“, „თავისუფალი დემოკრატები“ და „მემარცხენე ალიანსი“.

წამყვანი არ ავლენდა მიკერძოებას რომელიმე მხარის მიმართ. გადაცემისთვის შერჩეული თემა ხშირად იყო საინტერესო და აქტუალურიც, მაგრამ წამყვანი არ იყო მომზადებული. არ ჰქონდა თემის შესახებ სიღრმისეული მოკვლევა გაკეთებული. არ იყენებდა ფაქტებს, მონაცემებს, ციტატებს და წყაროებს. ხშირად თემაზე მსჯელობას იწყებდა ისე, რომ მაყურებელს მის შესახებ ინფორმაციას არ აძლევდა. მაგალითად, ნარკოპოლიტიკაზე დებატები ისე დაიწყო მაყურებელს პატარა ვიდეომასალით არ აუხსნა ამ ნარკოპოლიტიკის

⁶ http://www.commersant.ge/?m=5&news_id=21328&cat_id=2

არსი და მისი უარყოფითი მხარეები. არის შემთხვევები, როცა არც სტუმრები არიან თემის შესაბამისად შერჩეულები. მაგ, გადაცემაში, რომელიც ნარკოპოლიტიკას ეძღვნებოდა, საერთოდ არ იყო წარმოდგენილი სახელისუფლებო, ანუ ამ პოლიტიკაზე პასუხისმგებელი მხარე.

წამყვანი არ სვამს კრიტიკულ კითხვებს, არ უწევს რესპონდენტს ოპონირებას და მათ აძლევს საშუალებას, რომ იყვნენ კომფორტის ზონაში და მათთვის სასურველ თემებზე ისაუბრონ. ასე იყო მაგალითად „ქართული ოცნების“ პოლიტიკური მდივნის კახი კალაძის (10.08) შემთხვევაში. მაგალითად, კალაძეს ჰკითხა - „ხალხი რა განწყობით გხვდებათ?“ „რა არ მოგწონთ და რა გინდათ რომ გააკეთოთ შემდეგში?“

საარჩევნო პროგრამებზე, არჩევნებთან დაკავშირებით ზედაპირულ კითხვებს სვამს, შესაბამისად რესპონდენტის მსჯელობაც ზედაპირულია და ვერ იღებს მაყურებელი კონკრეტულ ინფორმაციას თუ როგორ ხედავს საარჩევნო სუბიექტის ამა თუ იმ პრობლემის მოგვარების გზებს. მაგალითად 23 აგვისტოს პენსიების ზრდის დაპირებაზე სასაუბროდ წამყვანი არ იყო მომზადებული. მოძიებული ჰქონდა მხოლოდ ინფორმაცია რომელი პარტია რა ოდენობის პენსიის მიცემას პირდება პენსიონერებს და ყველა სტუმარს უსვამდა ერთსა და იმავე კითხვას თუ საიდან მოიძიებენ ამ თანხას და ცდილობდა მათ შეეფასებინათ ერთმანეთის საარჩევნო დაპირება.

თვითონ წამყვანს არ აქვს ინფორმაცია დამუშავებული. მაგალითად, რამდენი პენსიონერია საქართველოში, წლიურად მათი პენსიაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან რა თანხა იხარჯება; ჰყოფნით თუ არა ეს თანხა პენსიონერებს მედიკამენტების და სხვა აუცილებელი საარსებო საშუალებების დასაკმაყოფილებლად. როგორი საპენსიო სისტემები არსებობს მსოფლიოში, რა კრიტერიუმებით არის გათვლილი ის თანხა, რასაც პარტიები ასახელებენ - ეს არის ის რაოდენობა, რისი გაცემის საშუალებაც მათი მმართველობის დროს სახელმწიფო ბიუჯეტს ექნება თუ ეს არის ის რაოდენობა, რაც აუცილებელია პენსიონერის არსებობისთვის და ა. შ.

იდენტური პრობლემა იყო ნარკოპოლიტიკაზე საუბრის დროსაც (16.08) წამყვანი ფაქტობრივად არ იცნობდა საკითხს.

საარჩევნო პროგრამების ნაცვლად ზოგადად საარჩევნო გარემოზე ესაუბრებოდა პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლებს. რამდენიმე რესპონდენტს დაუსვა იდენტური კითხვა თუ რა იქნება მათთვის „მაქსიმუმი ამ არჩევნებზე“

ასე წარიმართა საუბარი „ქართული ოცნების“ წევრ ეკა ბესელიასთანაც (19.08) , რესპონდენტს ძირითადად სხვების მოსაზრებებზე გააკეთებინა კომენტარი მაგალითად ჰკითხა -

„თქვენი ერთ-ერთი ყოფილი თანაგუნდელი ამბობს ასეთ რამეს, რომ “ნაციონალი” უფრო მეტია ახლა გუნდში, ვიდრე “ოცნების” წარმომადგენელი. უნდა ეძებოს საზოგადოებამ თქვენს რიგებში “ნაციონალები“?

შემდეგ კი შეაფასებინა სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიების გაერთიანებები, მათი მაჟორიტარი კანდიდატები. სახელმწიფო ხალხისთვის ლიდერის, პაატა ბურჭულაძის შესახებ კი ჰკითხა - „ზოგადად, რას იტყვით ბატონი პაატას შესახებ?“

12 აგვისტოს ნინო ბურჯანაძეს მისცა მცდარი და მისთვის სასურველი ინფორმაციის გავრცელების საშუალება. ბურჯანაძემ თქვა - „ეს არის აბსოლუტური ტყუილი, რომ თითქოს დღეს ჩვენ ვართ დაცული, თითქოს დღეს ჩვენ ნატო დაგვიცავს. როგორც დაგვიცვა 2008 წელს, როდესაც ნამდვილად არავინ არ განმრეულა ჩვენს დასაცავად და უბლოკო სტატუსის შემთხვევაში ვიქნებით დაუცველი“.

ჟურნალისტი არ აწყვეტინებს რესპონდენტს საუბარს და მის საპასუხოდ არაფერს ამბობს იმ ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ დახმარებაზე (ლიდერების ჩამოსვლა თბილისში, ნატოს სამხედრო გემით ჰუმანიტარული ტვირთის გამოგზავნა, ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებაში სარკოზის დახმარება, დონორების დახმარება, რამაც საქართველოს ომით დანგრეული ინფრასტრუქტურის აღდგენის და დევნილებისთვის სახლების აშენების საშუალება მისცა), რაც საქართველომ ევროპის ქვეყნებიდან და აშშ-დან მიიღო.

წამყვანს გაუჭირდა დებატების მართვაც, მაგალითად, ვერ მართა ცეზარ ჩოჩელის და დიმიტრი ხუნდაძის (26.08) აგრეთვე, ოთარ აბესაძის და გია ჯაფარიძის (30.08) დებატები, სადაც წამყვანი იყო ძალიან პასიური, კითხვებს ძირითადად სტუმრები უსვამდნენ ერთმანეთს.

SWOT ანალიზი

გადაცემა SWOT ანალიზი სპეციფიკური შინაარსის მქონე პროგრამაა. გადაცემაში განიხილება კონკრეტული თემა ერთ სტუმართან ერთად და წამყვანი ძირითადად ამ თემის შესახებ სვამს 4 ძირითად კითხვას: თემის სუსტი და ძლიერი მხარეები, ასევე თემის ფარგლებში არსებული შესაძლებლობები და საფრთხეები.

კვლევის პერიოდში მონიტორინგის მხოლოდ ორი სუბიექტი მონაწილეობდა გადაცემაში - თამაზ მეჭიაური („ერთიანი საქართველოსთვის“) და ირაკლი სესიაშვილი („ქართული ოცნება“).

კითხვები წინასწარ გაწერილი იყო და არ გამომდინარეობდა დისკუსიიდან. ზოგიერთ შემთხვევაში წამყვანმა გარკვეულ საკითხებზე სტუმრებს კითხვა არ დაუსვა. მაგალითად, 2 ივლისის გადაცემაში წამყვანმა არ შეუსწორა სტუმარს ტერმინი „ერთსქესიანი“, უფრო მეტიც თავადაც გაიმეორა ეს არასწორი ტერმინი. არადა, ერთსქესიანი ადამიანი არ არსებობს, აქ საუბარია ერთნაირი სქესის მქონე პირთა ქორწინებაზე.

ასევე გადაცემის წამყვანმა სტუმართან ერთად ხელი შეუწყო ზოგადად პოლიტიკური პარტიების და არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე საქართველოს დასავლელი პარტნიორების დისკრედიტაციას. სტუმარმა თამაზ მეჭიაურმა განაცხადა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები მუშაობენ ქვეყნის დასუსტებაზე. წამყვანმა არ სთხოვა სტუმარს დაკონკრეტება, ის დაეთანხმა რესპონდენტს და გადავიდა შემდეგ საკითხზე. ამასთან ერთად თამაზ მეჭიაურმა წინა ხელისუფლების, „ნაციონალური მოძრაობის“,

წარმომადგენლებს კრიმინალები უწოდა და სულხან მოლაშვილის, ასევე სხვა პირების, მკვლელობაში დაადანაშაულა. რასაც ასევე არ მოჰყოლია დამაზუსტებელი კითხვები.

პირველი

ტელეკომპანია პირველის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ გადაცემას „რვიანი“, რომელიც ყოველ სამუშაო დღეს ეთერში 20:00 საათზე გადის.

რვიანი

„რვიანში“ წარმოდგენილია პოლიტიკურ პარტიათა მრავალფეროვნება. მომზადდა გადაცემები, რომელიც ერთ კონკრეტულ მიმართულებაზე პარტიათა ხედვებს წარმოაჩენდა, თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში გადაცემა დაყოფილია ბლოკებად და თითოეულ ბლოკში ერთ სტუმართან განიხილავს წამყვანი სადისკუსიოდ შერჩეულ თემას. წამყვანის მიერ დასმულ კითხვებში არ გამოვლენილა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ დამოკიდებულება.

როდესაც რამდენიმე სტუმარი ერთდროულად ჰყავდათ მიწვეული, დისკუსია საინტერესოდ მიმდინარეობდა, მაგრამ იყო შემთხვევები, როცა დებატები პოლიტიკური კრიტიკის საზღვრებს სცდებოდა და გადადიოდა პირად შეურაცხყოფაში, ასეთ დროს, ყველა რესპონდენტი ერთდროულად ყვიროდა და მაყურებელს ფაქტობრივად არაფერი ესმოდა. წამყვანი კი, მცდელობის მიუხედავად, ვერ ახერხებდა პროცესის მართვას.

მაგალითად, ამგვარი შემთხვევა იყო 4 ივლისს გადაცემის შუა ნაწილიდან, ყველა რესპონდენტი ერთდროულად საუბრობდა, ეთერში მხოლოდ გაუგებარი ხმები ისმოდა.

4 აგვისტოს კი სტუდიაში ვითარება გახდა უმართავი. სტუმარმა გრიშა ონიანმა (კომუნისტური პარტია) ბადრი შუბლაძის (ენმ) და მისი პარტიის მიმართ შემდეგი შეურაცხყოფელი ფრაზები გამოიყენა ღია ეთერში, რაც ვერ აღკვეთა ჟურნალისტმა:

- ეს გაბერილი კაცი რომ აქ ზის, ეს არის დანაშაული!
- შენა ხარ გამოფიტული!
- ნუ ღრიალებ მაკე ღორივით!
- მე ნაციონალების სისხლის უნდა დავლიო.
- ესენი [იგულისხმებოდა ნაციონალები] უნდა გავაკრათ სამარცხვინო ბოძზე.
- შენი ძმის საფლავს გაფიცებ [მიმართა გადაცემის წამყვანს ვახო სანაიას]...მალაპარაკე ნახევარი საათი ამ გარეწრების საქმიანობაზე

ისმოდა გინება ოპონენტის მიმართ, რის გამოც წამყვანმა ვახო სანაიამ გადაცემა დასრულებულად გამოაცხადა. ეთერიდან გასვლამდე ონიანი მივარდა ბადრი შუბლაძეს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მას. საბოლოო ჯამში, გადაცემა მუშტი-კრივის ფონზე

დასრულდა, ხოლო ჟურნალისტი მოჩუბარ რესპონდენტებს შორის იდგა და მათ გაშვებებს ცდილობდა. წამყვანმა ვერ შეძლო ამ ტიპის რესპონდენტებთან სათანადოდ გამკლავება და ვერ მოახერხა ძალადობის აღკვეთა სტუდიაში.

„რვიანში“ ზოგჯერ არარელევანტური სტუმრებიც გვხვდება. 5 აგვისტოს გადაცემის თემა იყო ფარული ჩანაწერების საქმეზე დაკავებულებთან საპროცესო გარიგების შესაძლო გაფორმება და საკონსტიტუციო სასამართლო. ამ თემებზე სასაუბროდ მიწვეულნი იყვნენ ნანა კაკაბაძე, „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ წარმომადგენელი და ირაკლი ღლონტი, „რეფორმატორების“ ლიდერი. გაუგებარია, რა პრინციპით შეარჩია ამ თემაზე სასაუბროდ ეს სტუმრები ჟურნალისტმა, ვინაიდან ამ თემებთან მიმართებაში შესაბამისი კვალიფიკაცია და თუნდაც ექსპერტული ცოდნა არ გააჩნიათ მათ. ერთი რესპონდენტი მკვეთრად წინა ხელისუფლების ოპონენტი არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერი და მეორე რესპონდენტი ასპარეზზე შედარებით ახალ გამოჩენილი პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელია.

აღსანიშნავია რომ ამავე გადაცემაში ნანა კაკაბაძე, შემდეგ გადაცემებში კი „პატრიოტთა ალიანსის“ წევრი ირმა ინაშვილი (11.07), აგრეთვე „დემოკრატიული მოძრაობის“ წევრი ნინო ბურჯანაძე (12.08) მკვეთრად ანტიდასავლური ანტიდასავლურ მესიჯებს ავრცელებდნენ, რაზეც ჟურნალისტს არ მოუხდენია სათანადო რეაგირება, მაგალითად, არ დაუპირისპირა ის არგუმენტები, რომ სწორედ დასავლეთთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგია დემოკრატიული პრინციპების დანერგვა საქართველოში. ფაქტობრივად, ჟურნალისტი არც ერთ საკითხზე არ ჩაკითხვია და მხოლოდ ზედაპირული შეფასებებით შემოიფარგლა.

ირმა ინაშვილმა „რუსთავი 2-ის“ დაკვეთით შესრულებულ კვლევას სააკაშვილის კვლევას უწოდა. წამყვანმა ფაქტობრივი შეცდომა არ გაუსწორა სტუმარს, რითიც საარჩევნო სუბიექტს ფაქტებით მანიპულაციის და ამომრჩევლის შეცდომაში შეყვანის საშუალება მისცა. რიგ შემთხვევებში, რჩება შთაბეჭდილება, რომ სტუმარი თავისუფლად იყენებდა ტრიბუნას დემაგოგიისთვის, წამყვანი ცდილობდა კრიტიკული, დამაზუსტებელი შეკითხვების დასმას, მაგრამ ხშირად, მცდელობა წარუმატებელი იყო. ირმა ინაშვილმა თქვა, რომ საქართველომ უნდა ითანამშრომლოს რუსეთთან, ამ დროს მას წამყვანი ეკითხება, რა მაგალითები, ანალოგიები ახსენდება, როცა რუსეთი თანამშრომლობს ყოფილ ქვეშევრდომთან, ისეთ პატარა ქვეყანასთან, როგორიც საქართველოა. „დავასრულებ და მერე გიპასუხებთ“ თქვა ინაშვილმა და განაგრძო საგარეო ურთიერთობებზე საუბარი. დაასრულა, მაგრამ კითხვაზე პასუხის გაცემა „დაავიწყდა“. წამყვანმა კი, გვამცნო, რომ საეთერო დრო ამოიწურა.

ბურჯანაძემ კი თქვა, „არ არის ჩემთვის მისაღები ერთსქესიანთა ქორწინება, არ არის ჩემთვის მისაღები, რომ ბავშვი უნდა გაზარდოს დედამ და დედამ და მამამ და მამამ“. წამყვანს უნდა აღენიშნა, რომ ერთნაირსქესიანთა ქორწინება არ არის დაკანონებული ყველა დასავლურ ქვეყანაში და მის დაკანონებას არც საქართველოსგან ითხოვს ვინმე.

წამყვანი უფრო მეტად მომზადებული უნდა იყოს ისეთ რესპონდენტებთან, რომლებიც პრორუსულ მესიჯებს ავრცელებენ, რათა შეუსწოროს ყოველ ჯერზე ფაქტობრივი შეცდომები და მაყურებელს ზუსტი ინფორმაცია მიაწოდოს.

„რვიანის“ წამყვანს არ დაუსვამს კრიტიკული კითხვები პარლამენტის თავმჯდომარის მიმართ 11 აგვისტოს. ინტერვიუ იყო ძალიან ზოგადი, კითხვები კი შემდეგნაირი:

- მალე პარლამენტის თავმჯდომარის პოზიციას დატოვებთ, სავარაუდოდ ეს არ არის კომფორტული ცვლილება პოლიტიკოსისთვის რა განწყობები გაქვთ ამ მომენტისთვის?
- შეიძლება ითქვას, რომ რესპუბლიკელებისთვის ეს 4 წლიანი ოქროს ხანა იყო? პოზიციონირებით თუ ვიმსჯელებთ
- ასეთი შესაძლებლობა (გულისხმობს მინისტრთა პოსტებს) როგორ ფიქრობთ რეალიზმის ფარგლებში კიდევ როდის ექნება «რესპუბლიკურ პარტიას»?

უსუფაშვილმა აღნიშნა საუბარში, ალბათ მკითხვეთ “რესპუბლიკური პარტიის” საარჩევნო პროგრამაზე, წამყვანიც შეპირდა, მაგრამ გადაცემა ისე დასრულდა, რომ ჟურნალისტს ეს კითხვა სტუმრისთვის არ დაუსვამს.

1 აგვისტოს თავდაპირველად საუბარი დაიწყო ტრისტან წითელაშვილის საიდუმლო სამხედრო ბაზაზე შესაძლო დაშვებასთან დაკავშირებით შეფასებებით. გიორგი კანდელაკმა ზოგად კონტექსტში ისაუბრა მოქმედი ხელისუფლების შესაძლო კავშირებზე რუსულ სპეცსამსახურებთან. ჟურნალისტმა მას მისცა საშუალება, თავისუფლად ესაუბრა ბრალდებების ტონში ისე, რომ კონკრეტული მტკიცებულებები, არგუმენტები არ მოუთხოვია. წამყვანმა ბრალდებებზე პასუხის გაცემისთვის გადასცა სიტყვა ჟურნალისტმა მეორე სტუმარს, თუმცა გედევან ფოფხაძეს არ მიეცა შესაძლებლობა სრულფასოვანი პასუხი გაეცა, ვინაიდან ოპონენტი ყველა მის სიტყვას აკრიტიკებდა და მას არ აცდიდა საუბარს, ხოლო ჟურნალისტმა ეს არ აღკვეთა და ამით არათანაბარ პოზიციაში აღმოჩნდა ფოფხაძე, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობის“ ბრალდებებზე, განცხადებებსა თუ მოსაზრებებზე უწევდა პასუხის გაცემა.

სამონიტორინგო პერიოდში გადაცემაში სიძულვილის ენაც გამოიყენეს. 4 ივლისს ეთნიკურად ავღანელების მიმართ. თავდაპირველად წამყვანის პოზიცია არ იყო ზუსტი, მკაფიო და ნათელი. გადაცემის მიწურულს, სტუმარმა დისკრიმინაციული გამონათქვამი კიდევ ერთხელ გაიმეორა. ამჯერად წამყვანმა აღნიშნა, რომ რესპონდენტის ნათქვამი სიძულვილის ენა და დისკრიმინაცია იყო. 9 აგვისტოს გადაცემის სტუმარმა სანდრო ბრეგაძემ კი გააკეთა ჰომოფობიური განცხადებები. მაგალითად, «მთელი სალიბერალური, სოროსის ფონდი და გიგა ბოკერია რატომ აღსდგა ამის წინააღმდეგ?» ან «არ შევარჩენთ ამ კაცს ამას, მას არ შერჩება პრეზიდენტის სავარძელი. ჯერ ოფიციალური წერილი გამოგვიგზავნოს, ორი რესპუბლიკელი

რომ ყავს მარჯვნიდან და მარცხნიდან დოლიძე და კოჭორიძე, დააწერინოს წერილი და იმ ფურცელს, რომელსაც გამოგვიგზავნიან ეს ჰომოსექსუალების დამცველები უკან გავუგზავნიოთ და შევაჭმევინებოთ»), რაზეც არ მოუხდენია ჟურნალისტს ადეკვატური რეაგირება. მნიშვნელოვანია, ჟურნალისტს ჰქონდეს წინასწარი მზაობა და წინასწარვე იფიქროს, რომ თემისა და სტუმრის გათვალისწინებით, შესაძლოა მისი ეთერი სიძულვილის ენის ტირაჟირებისთვის იქნას გამოყენებული.

კავკასია

კავკასიის ეთერში მონიტორიები აკირდებოდნენ ორ ტოქშოუს „ბარიერს“, (კვირაში ოთხჯერ 21:15 საათზე) და სტუდია „სპექტრს“ (ყოველ დღე შაბათ კვირის გარდა 19:30)

ბარიერი

„ბარიერს“ სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები სტუმრობდნენ და ძირითადად მიმდინარე ამბებს განიხილავდნენ, გადაცემა ნაკლებად სთავაზობდა აუდიტორიას საარჩევნო სუბიექტების ხედვებს სხვადასხვა საკითხზე. წამყვანი იყო მიუკერძოებელი, თუმცა სვამდა ზედაპირულ კითხვებს, რიგ შემთხვევაში ვერ მართავდა დისკუსიას და გადაცემის ბოლოს თემაზე მსჯელობა ამოწურული არ იყო. აღსანიშნავია, რომ სადისკუსიო საკითხი და მისი ფოკუსი რამდენჯერმე გამეორდა. მაგალითად პარტიების ძველ და ახალ სახეებზე ორი გადაცემა მიუძღვნა და დისკუსია ერთსა და იმავე ჭრილში წარიმართა.

წამყვანი ხშირ შემთხვევაში იყო მოუმზადებელი, სვამდა ზოგად კითხვებს, როგორიცაა - თქვენ რას ფიქრობთ? როგორ შეაფასებდით? რა იქნება არჩევნების მთავარი ტენდენცია და ა.შ. ძირითადად იყო სტუმრებს შორის დებატების გამართვის იმედად.

19 ივლისს განათლების მინისტრს არ დაუსვა ბევრი მნიშვნელოვანი კითხვა. მაგალითად, არ უხსენებია რამდენიმე დღის წინ რეგიონებში გამართული შეხვედრები მასწავლებლებთან, სადაც მინისტრმა გააჟღერა მისი ხედვა მათ შორის უმაღლესი განათლების სისტემის გადახედვაზე, მასწავლებლების როლზე სწავლების პროცესი, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე და ა.შ. წამყვანს არ უკითხავს არც ბათუმში არსებულ შაჰინის სკოლაზე, რაც იმ პერიოდში აქტუალური თემა იყო. არც პროფესიული განათლების მნიშვნელობასა და ამ მიმართულებით მინისტრის ხედვებით დაინტერესებულა მაშინ, როდესაც ჯეჯელავამ 18 ივლისს საერთაშორისო კონფერენციაზე „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის“ ბევრი ილაპარაკა და საინტერესო იქნებოდა საზოგადოებისათვის დამაზუსტებელ კითხვებზე პასუხები. წამყვანს რ ჰქონდა ინფორმაცია არც მინისტრის მიერ გაჟღერებულ ინიციატივასთან დაკავშირებით, რაც დუალური განათლების სისტემის დანერგვას ეხება უმაღლეს სასწავლებლებში.

რიგ შემთხვევებში სადისკუსიო თემაზე არარელევანტური სტუმრები საუბრობდნენ - ექსპერტები, საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები და არა ის პირები, რომლებსაც შერჩეულ თემაზე კომპეტენტურად შეეძლოთ საუბარი.

13 ივლისს გადაცემის მესამე ბლოკში ექსპერტის სტატუსით მოწვეულ მამუკა გამყრელიძეს სთხოვა შეეფასებინა „ქართული ოცნების“ საარჩევნო სია, რის საპასუხოდ გამყრელიძემ აღნიშნა:

“მე შეიძლება საშუალო სტატისტიკური ქართველისგან განვსხვავდები იმით, რომ ტელევიზორს არ ვუყურებ და ამიტომ ეს ხალხი გვარები რომ ჩამომითვალეს, ნამდვილად რ ვიცი. ერთადერთი, ვინც გამიგია, ჩუგუაშვილი.” წამყვანმა შეუსწორა, უთხრა რომ ის „ჩუგოშვილია“, ცნობილია საზოგადოებისთვის და შეახსენა მისი კარიერა.

18 აგვისტოს კი ციხის კადრებზე, მის აუთენტურ სასაუბროდ „ქრონიკა +სა“ რედაქტორი ელისო კილაძე, „დემოკრატიული მოძრაობის“ წევრი ბესო დანელია და არასამთავრობო ორგანიზაცია „აპრიორის“ წარმომადგენელი ბესო შენგელია იყვნენ მიწვეულნი. თუ პოლიტიკური პარტიის მონაწილეობა სურდა წამყვანს ამ დისკუსიაში, გაუგებარია რა კრიტერიუმებით შეირჩა „დემოკრატიული მოძრაობა“ წამყვანმა აღნიშნა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ უარი უთხრა გადაცემაში სტუმრობდა. ბრალდებები ისმოდა „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. თუმცა რატომ არ მონაწილეობდა მათი წარმომადგენელი, განმარტება არ გაკეთებულა. წამყვანს გაუჭირდა დებატების მართვა, ბესო შენგელიასა და ბესო დანელიას შორის დისკუსია საბოლოოდ ციხის კადრების ნაცვლად წინო ბურჯანაძის მოღალატეობაზე წარიმართა. წამყვანმა საბოლოოდ რეკლამა გაუშვა ეთერში.

ეს გადაცემა გამონაკლისი არ ყოფილა, წამყვანის დებატების მართვის სტილი იყო ძალიან სუსტი. ხშირად გაურბოდა სადავეები ხელიდან. 16 აგვისტოსაც სტუმრებს შორის ცხარე კამათი მიმდინარეობდა უბლოკო სტატუსზე. ისინი ერთდროულად საუბრობდნენ და ეთერში გაუგებარი ბგერები ისმოდა მხოლოდ. წამყვანი ვერ ახერხებდა სიტუციის მართვას. „ვერ ვაჩერებ სტუმრებს, გავიყვანოთ ეთერიდან“... თქვა მან, სტუმრების ხმა ნელნელა მიქრა და ამჯერადაც ეთერში რეკლამა გავიდა.

აღსანიშნავია, რომ ამ ბლოკში პრაქტიკულად მხოლოდ ორი კითხვა დასვა წამყვანმა. დანარჩენი დრო სტუმრების ერთმანეთთან კამათით შეივსო.

პასიური იყო გადაცემის ახალი წამყვანიც 29 აგვისტოს მასაც გაუჭირდა ირაკლი აბესაძესა (ენმ) და ბექა ნაცვლიშვილს („ქართული ოცნება“) შორის დისკუსიის წარმართვა.

25 ივლისს გადაცემაში გამოიყენეს სიძულვილის ენა, სტუმარმა გურამ ფალავანდიშვილმა LGBT თემს მიაყენა შეურაცხყოფა. მან კორმაძესთან დებატებში თქვა: „XXI საუკუნე არის

პიდარასტების ზეობა. მოგწონს?“ წამყვანი აჩერებს და მოუწოდებს კორექტულობისაკენ, თუმცა არ ამბობს, რომ სიძულვილის ენას იყენებს სტუმარი.

საბოლოოდ გადაცემაში სტუმრებს შორის შეხლა-შემოხლა მოხდა. ერთმანეთს მიაყენეს შეურაცხყოფა. ჟურნალისტმა ვერ მოახერხა დისკუსიის სათანადოდ მართვა.

სპექტრი

გადაცემა „სპექტრი“ ისევე როგორც გასულ წლებში, 2016 წლის პერიოდშიც უხეშად არღვევდა მედიასტანდარტებს. მუდმივად არსებობს მიკერძოებლობის, ბალანსის, სტუმრების თუ თემის რელევანტურობის პრობლემა, ისმის სიძულვილის ენაც. გადაცემის თემა როგორც წესი ძალიან ზოგადია და იმ თემებს განიხილავენ სტუმრებთან ერთად, რაც საუბარს მოყვება.

სტუმრები შეიძლება მიწვეულები იყვნენ ისეთ თემებზე სასაუბროდ, როგორიცაა “რა ხდება საბჭოთა საქართველოში” ან “რა გამოწვევების წინაშე დგას ქართული საზოგადოება”. წამყვანი არ აზუსტებდა, კონკრეტულად რომელ გამოწვევებზე აპირებდა სტუმრებთან ერთად საუბარს.

მაგალითად, 18 ივლისს ტერორიზმის წარმოშობის მიზეზებზე და მის “ფილოსოფიაზე” სასაუბროდ სტუდიაში მიწვეული დათო ჭიჭინაძე, რომელიც ასე წარადგინა: “ბევრი ვიფიქრე ვინ მომეწვია და გადავწყვიტე, დათო ჭიჭინაძე მომეწვია. ავლაბრელია დათო და პრინციპში ეთნიკურად სხვადასხვა კონფესიის ხალხითაა დასახლებული ეს რაიონი.”

წამყვანი ვერ მართავს გადაცემას და დიალოგს. ხშირად აწყვეტინებს სტუმრებს ლაპარაკს და საუბარი აბსოლუტურად სხვა თემაზე გადააქვს. წამყვანი და მისი სტუმრები უმეტესად თანამოაზრეები არიან და ერთმანეთს თითქმის ყველაფერში ეთანხმებიან, საუბარი ფამილარულ მეგობრულ სტილში მიმდინარეობს.

წამყვანი აპელირებს დაუდასტურებელი ფაქტებით, ჭორებით, რომელსაც არ აქვს ფაქტობრივი საფუძველი და დგას კონსპირაციის თეორიებზე. ხშირად აკეთებს საკუთარ პროგნოზს და შეფასებებს. მაგალითად:

13 ივლისი - "მეცინებოდა, დღეს მოვისმინე, რომ ნაცმოძრაობამ დიპლომატები მოიწვიეს, რომ გავაცნოთო ჩვენი პროგრამა... მაგათმა თამარ მეფის საფლავი რომც იპოვეს, არავინ არ მისცემს ხმას, საშინელი აგრესიაა მაგათზე, მაგრამ არც ამ მეორე მხარეს, ამ ბედოვლათებს არაფერი რეალური პროგრამა არ აქვთ. ორივეს სჭირდება მხოლოდ თავიანთი ცხვირ-პირის ხილვა ეთერებში."

21 ივლისი - “რა სიძულვილიც იყო ნაცებზე, ისეთი სიძულვილია ქოცებზე.” “რა შანსები აქვს პაატას (ბურჭულაძეს). მიძინებული პარტიაა.” “აჭარა წაგებული აქვს „ქართულ ოცნებას“

22 აგვისტო – „26 ოქტომბერს უკვე ვთქვი არ მომწონს ეს მთავრობა-მეთქი... 31 დეკემბერს ბიძინა იყო და ვუთხარი ეს დებილი გყავს, ეს დებილი გყავს, ამას ეს აქვს მიქარული“.

არ იყენებს შესაბამის ტერმინებს. „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს უწოდებს „ქოცებს“ და „ნაცებს“. ვანო მერაბიშვილს მოიხსენიებს, როგორც „ვანიჩკას“. წამყვანი ხშირად აკრიტიკებს როგორც მოქმედ, ისე ყოფილ ხელისუფლებას, თუმცა ამჟამინდელი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ იყენებს კორექტულ გამონათქვამებს, ყოფილი ხელისუფლების და მიხეილ სააკაშვილის კრიტიკა კი არის მკვეთრად ნეგატიურია. მაგალითად, სააკაშვილის მიმართ იყენებს ეპითეტებს: გარეკილი, ოხერი, ჩიტირეკია, შეჩვენებული, გიჟი, გადარეული, ტარტაროზი.

11 ივლისის გადაცემაში აღნიშნა, „მიშა ცოტა გარეკილი იყო და ეხლაც მასეთია მაგ საწყალი.“ 20 ივლისს კი თქვა - "მიშამ მოძებნა ენერგიული ტიპები, ამუშავა და გარყვნა.“

წამყვანი აიგივებს თავს ხელისუფლებასთან -(21.07) “მართლა მწყდება გული, რომ ბათუმი დაკარგულია. ბათუმმა პირწმინდად მოიგო 2012 წელს. პირწმინდად მოვიგეთ მაშინ, არ გახსოვს?”

არის შემთხვევები, როცა არათუ ემიჯნება სტუმართა სიძულვილის ენას, არამედ წამყვანი თვითონ იყენებს ამგვარ ტერმინოლოგიას საქართველოში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების და თურქების მისამართით. მაგალითად, 28 ივლისს, აქუბარდიამ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელები ქართველების შევიწროებაში დაადანაშაულა.

ტაბულა

ტელეკომპანია ტაბულას ეთერში დაკვირვება მიმდინარეობდა ტოქშოუ „თეორემაზე“, ყოველ ორშაბათს და ხუთშაბათს. აღსანიშნავია, რომ გადაცემა 1 აგვისტოს შემდეგ ეთერში აღარ გასულა.

თეორემა

ტოქშოუ „თეორემა“ ნაკლებად მიყვება მიმდინარე თემებს და უმეტესად ცდილობს სხვადასხვა საკითხის გაანალიზებას. გადაცემის თითოეულ ბლოკს სადისკუსიოდ შერჩეული აქვს კონკრეტული თემა, რაც შესაძლებლობას ძლევს მაყურებელს მიიღოს დამატებითი ინფორმაცია. გადაცემას ყოველთვის აქვს კარგი, მარტივად აღსაქმელი შესავალი, სადაც წამყვანი გასაგებად განმარტავს ამბის კონტექსტს, გადაცემის თემას. წამყვანები ძირითად შემთხვევაში არიან მომზადებულები. თუმცა ეთერში არ არის მოსაზრებათა მრავალფეროვნება.

მონიტორინგის პერიოდში გადაცემაში არ ყოფილა წარმოჩენილი ხელისუფლებისა და პარტია „ქართული ოცნების“ პოზიცია, მონაწილეობა არ მიუღიათ მათ წარმომადგენლებს, რაზეც განმარტება არ გაკეთებულა. თუ რომელიმე პირი უარს ამბობს გადაცემაში მონაწილეობაზე, აუცილებელია ამის შესახებ წამყვანმა აუდიტორიას მიაწოდოს ინფორმაცია.

ბალანსის პრობლემა იყო 21 ივლისსაც. გადაცემაში მიმოიხილეს „ქართული ოცნების“ საარჩევნო სია და სიის ახალი სახეები. სტუმრებმა მმართველი გუნდის განახლება კრიტიკულად შეაფასეს. მაყურებელმა მხოლოდ ამ პარტიის კრიტიკა მოისმინა, „ქართულ ოცნებას“ არ ჰქონდა საშუალება, გამოეხატა პოზიცია. მინიშნება წამყვანის მხრიდან იმის შესახებ, რომ ეცადნენ სტუდიაში მათ მიწვევასაც, არ ჩანდა.

18 ივლისის გადაცემაში „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი სერგი კაპანაძე ექსპერტის სტატუსით მეორე ნაწილში კი როგორც პარტიის წევრი აკრიტიკებდა ხელისუფლების საგარეო კურსს და საუბრობდა „ნაციონალური მოძრაობის“ ხედვებზე.

წამყვანების კითხვები ხშირ შემთხვევაში კარგად იყო სტრუქტურირებული, მაგრამ მაგალითად, ამავე 18 ივლისს წამყვანმა კითხვა შემდეგნაირად დასვა:

„მინდა შევეხო ჯონ ქერის ვიზიტს საქართველოში, რომელიც დაემთხვა ვარშავის სამიტის წინა კვირას და ეს დამამშვიდებელი ვიზიტიც შეიძლება ყოფილიყო. ამ კონტექსტში შეიძლება დავინახოთ, რომ ვარშავის სამიტის შედეგები მაინცადამაინც აღმაფრთოვანებელი არ უნდა ყოფილიყო საქართველოსთვის და ამავდროულად ეს იყო წინასაარჩევნო ვიზიტი და გამაფრთხილებელი მესიჯები, რომელიც ჩვენ მოვისმინეთ ამერიკის სახელმწიფო მდივნისგან და ხაზგასმულად თქვენ რაზეც აღნიშნეთ, მედიის თავისუფლება იყო გამოყოფილი. ამ კონტექსტში, როგორ ფიქრობთ, როგორი იქნება ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციები. იმ კონტექსტში აეს სიტყვა ბევრჯერ ვახსენეთ, მაგრამ იმ გარემოებების გათვალისწინებით, რაც რეგიონში ხდება იგივე თურქეთში. იცით, ხშირად შეიძლება დაგვრჩეს შთაბეჭდილება, რომ კი საქართველოს პრობლემები გასაგებია, ეს შიდა დემოკრატიული პროცესები, რაც საქართველოს შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ იმდენად სხვა ტიპის და უფრო მძიმე ტიპის პრობლემების რეგიონში და თუნდაც აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, რომ საქართველოს პრობლემები ნაკლებ მნიშვნელოვანია ეს შეიძლება ხშირად მოვისმინოთ. როგორ უნდა მოახერხოს სამოქალაქო საზოგადოებამ საქართველოში, რომ იმ პრობლემებით რომელიც საქართველოს დღეს აქვს, მეტი დაინტერესება გაჩნდეს ამაზე დასავლეთში?“

ობიექტივი

ობიექტივის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ გადაცემა „ღამის სტუდიას“, რომელიც ყოველ დღე გადის ეთერში 23:30 წუთზე.

ტოქშოუ უხეშად არღვევს ეთიკურ სტანდარტებს. წამყვანები არიან მიკერძოებულნი, გადაცემის განმავლობაში მრავლად ისმის რუსული პროპაგანდისტული მესიჯები, სიძულვილის ენა, აგრეთვე ანტითურქული განცხადებები, რასაც წამყვანები და რესპონდენტები ერთხმად იმეორებენ. საერთოდ არ ისმის განსხვავებული აზრი ეთერში და სტუმრები და წამყვანები ფაქტობრივად ერთმანეთის თანამოაზრეები არიან. საუბარი მეგობრული ხასიათისაა, არ იგრძნობა რაიმე მომზადება, ხშირ შემთხვევაში გადაცემას ფოკუსი არ აქვს და ბევრ საკითხზე საუბრობენ.

მონიტორინგის პერიოდში რამდენჯერმე იყო შემთხვევა როდესაც გადაცემაში სტუმარი საერთოდ არ მონაწილეობდა და წამყვანი ერთი საათის განმავლობაში საკუთარ აზრებს გამოთქვამდა. მაგალითად 13 აგვისტოს ვალერი კვარაცხელიამ ამგვარი ფორმატით გამოიყენა გადაცემა საკუთარი მესიჯების გასავრცელებლად. ის პარალელურად საარჩევნო სუბიექტია, წამყვანის პოზიციის დაკავებას კი „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“ უკრძალავს. ამის შესახებ „ობიექტივის“ თვითრეგულირების ორგანოში ჟურნალისტურმა ეთიკის ქარტიამ შეიტანა საჩივარი, კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამც მისცა რეკომენდაცია, რის შემდეგაც კვარაცხელიამ გადაცემიდან წასვლის განცხადება გააკეთა და ამავე 13 აგვისტოს გადაცემაში დაგვემშვიდობება იმის იმედით, რომ არჩევნების შემდეგ, ისევ დაუბრუნდება ტელეეთერს.

„ღამის სტუდია“ ფაქტობრივად ერთი პარტიის, „პატრიოტთა ალიანსის“ ტრიბუნად არის ქცეული. ამ პარტიის წარმომადგენლები 22-ჯერ სტუმრობდნენ გადაცემას, მათ შორის პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით თარხან მოურავი 7-ჯერ იყო მიწვეული. წამყვანები ფაქტობრივად თანამოაზრეები და მხოლოდ რეპლიკებითა და ფორმალური კითხვებით შემოიფარგლებიან, აქებენ და მათ სრულად აძლევენ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის საშუალებას. ერთად აკრიტიკებენ ხელისუფლებას. რჩება შთაბეჭდილება, რომ წამყვანები სტუმარს, განსაკუთრებით დავით თარხან მოურავს მხოლოდ ახსენებდნენ გარკვეულ საკითხებს, რაზეც მას უნდა ესაუბრა. ისიც 8-10 წუთის განმავლობაში უწყვეტად გამოთქვამდა აზრებს.

აღსანიშნავია, რომ ერთ ერთი წამყვანი ბონდო მძინარაშვილი 5 აგვისტოს მთელი გადაცემის განმავლობაში (50 წუთი) მონოლოგის რეჟიმში საუბრობდა და საკუთარი მოსაზრებებს ავრცელებდა. 8 აგვისტოს კი „პატრიოტთა ალიანსმა“ ის მაჟორიტარ კანდიდატად დაასახელა. იმავე დღეს ბონდო მძინარაშვილი უკვე როგორც კანდიდატი, ისე სტუმრობდა გადაცემას. ის მიწვეული იყო 11 აგვისტოსაც.

წამყვანები არ იშურებენ საქებარ სიტყვებს „პატრიოტთა ალიანსის“ წევრების მიმართ. 23 აგვისტოს ამ პარტიის წევრი ზაზა მამალაძე, რომელიც ასევე „ობიექტივის“ წამყვანი იყო, ნინო რატიშვილმა ასე წარადგინა:

“ზაზა მამალაძე არის „პატრიოტთა ალიანსის“ თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე. ზაზა მამალაძე ვიცე-პოლკოვნიკი, ყველა ომი გამოვლილი, საოცარი ბიოგრაფია გაქვს. თბილისელი კოლორიტი მომღერალი და ამ დროს არ არსებობდა რამე საქართველოში ამ ბოლო წლების განმავლობაში, სადაც შენ არ ყოფილიყავი. იქ სადაც სუნთქავდა საქართველო, შენ იყავი. ეს არის უდიდესი შენი ბექგრაუნდი, ხომ იცი მოდაშია ეს სიტყვა. ეს არის მდიდარი ბიოგრაფია, რითაც ყველას გვიყვარხარ”. გარდა ამისა სტუმარს “სიურპრიზი” გაუკეთეს და მისი მეგობარი მსახიობი მერაბ თავაძე ჩართეს, რომელმაც მეგობრის ღირსებებზე ისაუბრა. მოგვიანებით კი ეთერში ზაზა მამალაძის მიერ შესრულებული სიმღერების ჩანაწერები გაუშვეს.

ათ აგვისტოს წამყვანმა ნინო რატიშვილმა პირდაპირ მხარდაჭერა გამოუცხადა ამ პარტიას - “მე იცით როგორ სიტუაციაში ვარ, ვის მოვატყუო, რომ ვთქვა, რომ ეხლა მე არ მივცემ „პატრიოტთა ალიანსს“ ხმას. მაგრამ მე ძაან მინდა, რომ სუბიექტური არ ვიყო. მინდა „პატრიოტთა ალიანსი“ ისეთი იყოს, რომ არ დამჭირდეს სუბიექტურობა. მართლა გულით მინდა”.

განსხვავებით „პატრიოტთა ალიანსისგან“ უარყოფითი დამოკიდებულება იგრძნობა ისმის „ნაციონალურ მოძრაობის“ და „რესპუბლიკური პარტიის“ მიმართ

3 აგვისტოს ბონდო მძინარაშვილმა ამგვარი პროგნოზი გამოთქვა - “გაყალბების შემკვეთი რესპუბლიკელების სახით, რომელიც ჰყავდათ საგარეჯოში შემკვეთი თუ დამშანტაჟებული თუ დამძალეული, ერთ გუნდად აღარ მოიაზრება მათთან [მთავრობასთან]და უფრო ნაკლები ცდუნება ექნებათ, რომ ხალხზე იძალადონ”.

გადაცემაში გრძნობა მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისადმი. მაგალითად, 9 ივლისის წამყვანმა ასე შეაფასა მისი მოღვაწეობა - „საკაშვილი ეს არის ძალა ადვილშვილთან ერთად, ახალაისთან ერთად, მერაბიშვილთან ერთად ეს არის ბოლშევიკურ ფაშისტური ძალა რომელიც...”

28 ივლისს კი წამყვანმა მერაბ ბლადაძე თქვა „რომელი ოცნება და რომელი ნაციონალურ მოძრაობა პარტიას აძლევთ ხალხო ხმა, აზრზე მოდით ვილუპებით, ხალხო“ - წამყვანი ემოციურად საუბრობდა და აჩვენა უცენზურო ჟესტი - შუა თითი.

„ღამის სტუდიაში“ მრავლად ისმის ანტიდასავლური რუსული პროპაგანდისტული მესიჯები, რითიც განსაკუთრებით გამოირჩეოდა წამყვანი ვალერი კვარაცხელია.

„ჩვენ ხალხს უნდა განვუცხადოთ პირდაპირ, არა ამერიკელი ხალხი... ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა რომელსაც ის ათეული წლების განმავლობაში ატარებს არის მსოფლიოს დასაღუპავად გამიზნული პოლიტიკა. ამიტომ ამ პოლიტიკას უნდა ეთქვას მტკიცე უარი და დიახაც უნდა გამოვიჯახუნოთ კარები“, - თქვა მან 10 ივლისს.

არამხოლოდ ვალერი კვარაცხელია გამოირჩეოდა რუსული პროპაგანდისული მესიჯებით, შეიძლება ითქვას, რომ ყველა გადაცემა ამგვარ ნარატივს ატარებს, რომლის მთავარი არსია დასავლეთის, ნატოს დისკრედიტაცია და რუსეთთან დამეგობრების, როგორც ერთადერთი ალტერნატივის განხილვა.

31 ივლისს კი „კომუნისტური პარტიის“ ლიდერმა გრიშა ონიანმა ეთერში საბჭოთა კავშირის სიმბოლიკა ნამგალი და ურო მიიტანა სტუდიაში.

„ლამის სტუდიაში“ ისმის ანტითურქული რიტორიკაც, სტუმრები, განსაკუთრებით დავით თარხან მოურავი ხშირად იმეორებს, რომ თურქეთი მტერია და ოკუპირებული ტერიტორიები.

10 აგვისტოს წამყვანმა ნინო რატიშვილმა თქვა “მთელი ბათუმი თურქეთი არ არის, სამწუხაროდ? “სტუმარი მასპინძელი არ უნდა გახდეს”

არის შემთხვევები, როდესაც საერთოდ გაუგებარია ვინ არის სტუმარი. მაგალითად 7 აგვისტოს ლეონარდო დევიდარიანი, წამყვანმა ასე წარადგინა - „ჩვენი სტუმარია ლეონარდო დევიდარიანი, რომელიც თქვენთვის ძალიან კარგადაა ცნობილი“. მასთან რუსულ ენაზე ისაუბრა რუსულ საგარეო პოლიტიკაზე .

ხშირად ფამილარულ ტონში გადადის საუბარი. მაგალითად 8 აგვისტოს სტუმარმა ბონდო მძინარიშვილმა, რომელიც „პატრიოტთა ალიანსის“ წევრობამდე ამავე გადაცემის წამყვანი იყო, ბავშვობის ამბები გაიხსენა და წამყვანმაც მასთან ერთად მოყვა მისი ძაღლის ისტორია. ისაუბრეს სიკეთეზე, სიყვარულზე და ზოგადად ცხოვრებაზე.

გადაცემაში ისმოდა სიძულვილის ენაც, როგორც რესპონდენტების, ისე წამყვანის მხრიდან. 13 ივლისს სტუმარმა დავით თარხან - მოურავმა თქვა, რომ ჰომოსექსუალიზმი დაავადებაა. „არ აინტერესებს მსოფლიოს მოსახლეობას პედარასტიზმის პროპაგანდა“, წამყვანმა გაიზიარა მისი მოსაზრება, გამოთქვამდა სინანულს ჰომოსექსუალობის დაავადებათა სიიდან ამოღების გამო. შემდეგ კი თქვა რომ „ლტოლვილები (სირიელი) კანის გარეგანი დაავადებაა (ევროპისთვის“)

აჭარა

ტელეკომპანია აჭარის ეთერში დაკვირვების ქვეშ იყო ორი ტოქშოუ - პირისპირ (22:00) და ფაქტორი (21:40 ყოველ პარასკევს), ორივე მათგანი კვირაში ერთხელ გადის ეთერში.

ფაქტორი

გადაცემისთვის შერჩეული თემები ეხმიანებოდა აჭარისთვის აქტუალურ საკითხებს. სტუმრები მოწვეულნი იყვნენ თემის შესაბამისად. ყველა სტუმარს ეძლეოდა მოსაზრებების გამოთქმის საშუალება. წამყვანი აუდიტორიას ყოველთვის აწვდიდა ინფორმაციას თუ რომელიმე სტუმარმა უარი განაცხადა ეთერში მოსვლაზე.

22 ივლისს იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ბრალდებების ობიექტს, ხელისუფლებას არ მიეცა პასუხის გაცემის საშუალება. გადაცემას მოქალაქეები სტუმრობდნენ, კონკრეტული ქუჩის („ოცნების ქალაქი“) პრობლემებით. წამყვანის თქმით, მათ ითხოვეს, ეთერის მხოლოდ მათთვის დათმობა. ასეთ შემთხვევაში უმჯობესი იქნებოდა მოქალაქეების საუბრის შემდეგ მომდევნო ბლოკში ჩაერთო ბრალდებების ადრესატი და მას მაინც მისცემოდა საკუთარი პოზიციის დაფიქსირების საშუალება.

ჟურნალისტი სუსტად არის გადაცემისათვის მომზადებული. ძირითადად სვამს ზოგად კითხვებს.

მაგალითად, 15 ივლისს გადაცემა აჭარის მთავრობის ახალი თავმჯდომარის დანიშვნას ეხებოდა. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრს ჰკითხა - „ბატონო ირაკლი, ერთის მხრივ პრეზიდენტის გადაწყვეტილება, მეორე მხრივ ზოგადად საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება და მესამე მხრივ უმაღლეს საბჭოსთან კონსულტაციები ზურაბ პატარაძის კანდიდატურასთან დაკავშირებით, იქნებ მოკლედ მიმოვიხილოთ ეს პროცესები და თქვენი შეფასება როგორი იქნება ამასთან დაკავშირებით?“

29 ივლისს ტურიზმზე საუბრისას აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის წარმომადგენელს, მამუკა ბერძენიშვილს აჭარაში ტურისტების შესახებ ჰკითხა - „როგორია აქტივობა? თუ გაქვთ რაიმე სტატისტიკა?“ ეს მონაცემები შეეძლო გადაცემის მომზადებამდე მოეძიებინა გადაცემის გუნდს და რესპონდენტთან ამ მონაცემებზე დაყრდნობით გაეგრძელებინა საუბარი.

გადაცემის მსვლელობისას მისთვის წამყვანს არც ერთი მწვავე კითხვა არ დაუსვამს ტურისტულ სეზონთან დაკავშირებით. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ მას უბრალოდ აძლევდა საშუალებას, ელაპარაკა იმ კარგ საქმეებზე, რომლებიც გაკეთა მთავრობამ. ეკითხებოდა, ტურისტების რაოდენობის ზრდის და სიახლეების შესახებ. მომსახურებასა და სერვისის პრობლემებზე, რომელზეც მოსახლეობა და დამსვენებელი გამუდმებით უკმაყოფილებას გამოთქვამს წამყვანმა ზოგადად ჰკითხა, მთავრობის პასუხისმგებლობის შესახებ კითხვა არ დასმულა. სტუმარმაც ზოგადად მოკლედ ისაუბრა არსებულ პრობლემებზე, თქვა, რომ ეს „ბუნებრივი პროცესია“ კითხვა იმის შესახებ თუ როგორ აპირებს ხელისუფლება მათ მოგვარებას, არ დასმულა.

ამავე გადაცემაში ჰაერის ხარისხთან დაკავშირებით გარემოს ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელს, თამარ ბაგრატიას კითხვა შემდეგი ფორმულირებით დაუსვა:

- აუცილებლად უნდა გვითხონ ჰაერის ხარისხთან დაკავშირებით. ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, გინდაც საკითხი, რომელიც საზოგადოებას ძალიან ადევნებს, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც ტურისტული სეზონია ბათუმში, იზრდება, რა თქმა უნდა, ავტომობილების რაოდენობა, იზრდება, შესაბამისად, ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელიც. უფრო კომპეტენტური პასუხი თქვენ რომ გაგვცეთ.

წამყვანს არ ჰქონდა მოძიებული კვლევები ამ მიმართულებით, თამარ ბაგრატიასთვისაც არ დაუსვამს კრიტიკული კითხვები გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებით, შესაბამისად არც არც ამ საკითხზე დაკისრებია რაიმე პასუხისმგებლობა ხელისუფლებას.

წამყვანი აკონტროლებს დისკუსიას, თუმცა, საუბარი კამათში იშვიათად გადაიზრდება. გადაცემა არ არის დინამიკური, სტუმრები ხშირად მონოლოგის რეჟიმში საუბრობენ.

პირისპირ

ტოქშოუში პირისპირ ძირითადად ადგილობრივი ამბები არის სადისკუსიოდ შერჩეული. წამყვანი გადაცემისთვის მეტ-ნაკლებად მომზადებულია, სვამს დამაზუსტებელ კითხვებსაც. გადაცემას აკლია დინამიკა.

აღსანიშნავია, რომ წამყვანი სასაუბრო თემას არ წარადგენს და გადაცემას პირდაპირ სტუმრის წარდგენით იწყებს. უმჯობესი იქნება თუ თავიდანვე ამცნობს აუდიტორიას იმ საკითხებს რაზეც შემდეგში ისაუბრებს და ახსნის ამა თუ იმ სტუმრის მოწვევის არგუმენტაციას.

24 აგვისტოს გადაცემაში სტუმრად ჰყავდა „თავისუფალი დემოკრატებიდან“ ირაკლი ალასანია, შემდეგ ბლოკში კი - „რესპუბლიკური პარტიის“ წევრი დავით ბერძენიშვილი. მიუხედავად იმისა, რომ სტუმრად პარტიის ლიდერები ჰყავდა, მათთან საარჩევნო პროგრამაზე არ უსაუბრია.

არ უკითხავს სხვა პარტიებთან შედარებით, რით განსხვავდება მათი იდეოლოგია, რომელსაც პარტიის პროგრამა ეფუძნება, როგორ დაძლევენ უმუშევრობას, როგორც მიაღწევენ ეკონომიკურ ზრდას, როგორ იმუშავენ ჯანდაცვის სისტემა, რა რეფორმებს ჩაატარებენ განათლების სისტემაში. რა გეგმები აქვთ აჭარის რეგიონში. არ წარმოუჩენია კონკრეტული პრობლემები და არ მოუსმენია ხედვები მათ გადასაჭრელად.

ნაცვლად ამისა, ირაკლი ალასანიასთან პოლიტიკურ რეიტინგებზე ისაუბრა. წამყვანმა შეაჩერა ან შეაწყვეტინა რესპოდენტს საუბარი, იმ მიზეზით რომ გადაცემა უფრო «პოლიტიკას» ეხებოდა, რაშიც მოიაზრებოდა ვის რამდენი პროცენტი აქვს რეიტინგებში, ვინ ვისთან არის ალიანსში, ვინ ვისი სატელიტია.

მაგალითად, როდესაც ირაკლი ალასანიამ საკამათო იდეა გააჟღერა ბაზრის დაცვასთან დაკავშირებით, ნაცვლად იმისა, რომ წამყვანი ჩაძიებოდა და ეჩვენებინა მაყურებლისთვის თუ

რამდენად სწორია მისი ინიციატივა, უთხრა გადავიდა სხვა თემაზე, რაც წამყვანის თქმით მაყურებელს აინტერესებს. ასეთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი გამოდგა კანდიდატების წარდგენის ფორმა: „ჩვენ ვნახეთ, რომ ყოფილმა და ახლანდელმა ხელისუფლებამ პრაქტიკულად თავი მოუყარა მხარდამჭერებს და სწორედ ასეთ გარემოში და ასეთ ფონზე მოხდა მათი კანდიდატების წარდგენა. თქვენ, თავისუფალმა დემოკრატებმა რატომ არ აირჩიეთ ეს გზა? გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული თუ მობილიზების პრობლემაა“

ამის შემდეგ წამყვანმა GFK-ს კვლევაზე, პოლიტიკურ რეიტინგებზე ჰკითხა, რაც ალასანიას უკვე ჰქონდა შეფასებული და მისი მოსაზრება საზოგადოებისთვის ცნობილი იყო. დავით ბერძენიშვილს კი ფაქტობრივად პოლიტიკური მიმოხილვა გააკეთებინა და რესპონდენტი ექსპერტის სტილში აფასებდა ბოლო წლების მოვლენებს მაშინ, როცა დავით ბერძენიშვილი გადაცემაში მოწვეული იყო, როგორც უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი.

აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ 27 ივლისს ზვიად ჩიტიშვილმა, პარტია “ჩვენი სამშობლოს” ლიდერმა ქსენოფობიური განცხადებები გააკეთა:

„მე მაგალითად, ხუთ ტაძარს ვაშენებ . თქვენ გინახიათ რომელმა თურქმა რომ ააშენა ტაძარი? თქვენ გინახიათ, რომ მართლმადიდებლობაზე ფიქრობენ? .. აქ ითხოვენ რომ აშენდეს თავისი ინსტიტუტები, თვითონ კიდეც ერთ ეკლესიას არ გვახსენებენ.“ „არ გვექნება ჩვენი ქართველობა და არ დავასაბუთებთ და ხელს არ დავარტყამთ მაგიდაზე და არ ვეტყვი, ან ასე იქნება და ან არანაირად, მანამდე არაფერი იქნება ჩვენ ერთმანეთს შორის. ისინი ჩვენ ყოველთვის დაგვჩაგრიან და არანაირი მეგობარი იქნება ჩვენი“.

მართალია წამყვანი აწყვეტინებს, თუმცა არ მიუთითებს იმაზე, რომ მისი განცხადებები დისკრიმინაციულია, არ ითხოვს დასაბუთებას, არ ავრცობს საკითხს. ნაცვლად ამისა, ეუბნება, რომ უნდა გადავიდნენ სხვა საკითხებზე, „რომლებიც პარტიულს ეხება“. ასეთ შემთხვევაში უმჯობესია წამყვანმა მეტი არგუმენტაცია მოითხოვოს, არ მისცეს დაუსაბუთებელი ინფორმაციის გავრცელების საშუალება და არ გახდეს ამ შემთხვევაში ანტითურქული განწყობის გაძლიერების ხელშემწყობი. ასეთი ტიპის გამონათქვამებისას წამყვანმა უნდა მიუთითოს სტუმარს დისკრიმინაციულობაზე რომ მაყურებელმაც იცოდეს რა ტიპის გამოხატვა არის მიუღებელი.

ტელერბი 25

სამონიტორინგო პერიოდში „ტელერბი 25-ის“ ეთერში ტოქშოუ „დიალოგი“ მხოლოდ ერთხელ გავიდა. იმ გადაცემაში მონიტორინგის სუბიექტები არ მონაწილეობდნენ.